მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური სარგებელი

ლევან ლომიძე

გულიკო ბიწაძე

მარიამი ავსაჯანიშვილი

წარდგენილია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მენეჯმენტში

ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

„ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

ლევან ლომიძე

გულიკო ბიწაძე

მარიამი ავსაჯანიშვილი

/06.06.2019/

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური სარგებლის ანალიზი, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა თუ მიღწევების გამოვლენა.

ძირითადი საკითხები, რომლებიც ნაშრომშია განხილული, აღწერს საქართველოში დაფუძნებულ მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობას და მათი განვითარების ტენდენციებს. ამასთანავე, წარმოდგენილია სახელმწიფოს მხრიდან ის რეგულირების თავისებურებები და მხარდაჭერის პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას. ნაშრომში ნათლადაა წარმოჩენილი როგორც ორგანიზაციათა / საწარმოთა ეკონომიკური მდგომარეობა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ასევე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის ეფექტიანი გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, ბიზნეს პროცესი, ტექნოლოგიები, ინოვაცია, ეკონომიკური სარგებელი.

Abstract

The main objective of the research is to analyze the economic benefits of technology integration in business processes of small and medium-sized enterprises in Georgia and to identify existing achievements and challenges.

The main issues discussed in the work describe the situation of the small and medium-sized business and its development trends in Georgia. The thesis also reviews the role of the state in the development of small and medium-sized business, existing regulations and practical aspects of support ensuring its development. The work demonstrates economic situation of organizations / enterprises and the challenges they are facing. It also shows the problems emerged in the management of small and medium-sized companies and provides effective ways of solution.

Keywords: small business, medium business, business process, technologies, innovation, economic benefits.

სარჩევი

აბსტრაქტი II

Abstract III

შესავალი 1

პრობლემის აქტუალობა 1

კვლევის მიზანი 3

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 3

ლიტერატურის მიმოხილვა 5

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეკონომიკური და სოციალური ასპექტები 5

მცირე და საშუალო ბიზნესი საზღვარგარეთის ქვეყნებში 13

სტრატეგიული პარტნიორობის როლი მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარებაში 19

რესურსები 20

ინოვაციურობა 20

კონკურენციისადმი დამოკიდებულება 21

ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძალაუფლება 21

ორგანიზაციული ნიშან-თვისებები 21

საქმიანობის მიზანი 22

დაგეგმვითი თავისებურებები 23

ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური სარგებელი 24

ფუნქციათაშორისი პროცესების მართვის ვარიანტები 27

ინფორმაციული ტექნოლოგიები 36

მეთოდოლოგია 44

კვლევის მიზნები და ამოცანები 44

კვლევის მეთოდოლოგია 44

ძირითადი მიგნებები 45

კვლევის შედეგები 47

დასკვნები და რეკომენდაციები 50

რეკომენდაციები 53

ბიბლიოგრაფია 55

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

თითოეულ სახელმწიფოში, როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხით, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, დასაქმების პრობლემის აღმოფხვრას, სოციალური უთანასწორობის მოწესრიგებას ან/და შერბილებას, თითოეული ოჯახისათვის საარსებო მინიმუმის და საბრუნავი კაპიტალის, როგორც არსებობის აგრეთვე გაფართოების გარანტიას, ეკონომიკურ ზრდას და ა.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, არაერთ ქვეყანაში ეკონომიკური მდგრადობის გარანტადაც მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ს და სხვა განვითარებული ქვეყნების დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი მცირე ბიზნესს ახორციელებს.

საბაზრო სისტემის ქვეყნების მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არსებული ეროვნული პრობლემების მოგვარებაში მცირე ბიზნესი არსებით როლს ასრულებს. მცირე ბიზნესის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და მომსახურება. მისი მეშვეობით ხორციელდება მსხვილი კომპანიების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილება, მომხმარებელთა სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა. მცირე ბიზნესის როლი გამორჩეულად მნიშვნელოვანია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს, რადგან იგი უმუშევრობის შემცირების და ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თანამედროვე სამყაროში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ჩამოყალიბება და განვითარება განიხილება როგორც საბაზრო კანონებით ფუნქციონირებადი ახალი ეკონომიკური სარგებლის მიღების აუცილებელი პირობა.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ უნარზე ეფექტიანად და ხარისხიანად შეასრულონ თავიანთი როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ღირსეულად შეფასდეს ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების სარგებლიანობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციიდან გამომდინარე, რომ მათ ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ, მსოფლიოს თითოეული წამყვანი ქვეყანა, სწორედ ამ შედეგზე დაყრდნობით ცდილობს სახელმწიფო სტრუქტურები ჩამოაყალიბოს აღნიშნული ბიზნესის ხელშეწყობის გარანტად. სახელმწიფო სტრუქტურები ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში, თუმცა არსებობს ისეთი საწარმოები რომლებიც არც თუ ისე სახარბიელოდ ასრულებენ საკუთარ სამუშაოს, ასეთი საწარმოებისათვის სახელმწიფო სტრუქტურების დახმარება ნიშნავს არა მათ წახალისებას, არამედ მათი პრობლემის გადაჭრისათვის ზრუნვას, რაც ბიზნესს ხელს უწყობს კონკურენტულ პირობებში მუშაობის შესაძლებლობაში.

მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კარგად აპრობირებულს ევროკავშირში, იაპონიაში, ავსტრალიასა და წარმატებულ განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს სახელმწიფო საინოვაციო სააგენტო (მაგალითად: www.tekes.fi/en/,www.vinnova.se/en/, www.enterprise-ireland.com/), რომლის ფუნქციაა გრანტების, ვაუჩერებისა და ტექნიკური დახმარების მეშვეობით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციასა და ადაპტირება/ათვისებაში. ეს შედარებით ძვირადღირებული, მაგრამ ძალიან ეფექტური მექანიზმია. ასეთი სტრუქტურის დაფუძნება (სავარაუდოდ, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან) აუცილებელი და გადაუდებელია.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გაუმჯობესება და განხორციელება დამოკიდებულია მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. სწორედ აღნიშნული სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული

საქართველოში არსებული საბაზრო კონკურენტული გარემო, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილები და სხვა.

კვლევის მიზანი

მცირე ბიზნესის ეფექტურობა ვლინდება მონოპოლიასთან ბრძოლის დროს, ვინაიდან მას აქვს საზოგადოებრივ მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა. მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების მოქნილი და ხარისხიანი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო სისტემის პირველწყარო, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურას, დასაქმების მაჩვენებლის ზრდას, საქონლისა და მომსახურების ახალი სახეების ჩამოყალიბებასა და მათ მომხმარებელზე მიწოდებას.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია სამთავრობო პროგრამული დოკუმენტები და დარგის განვითარების კონცეფციები, საკანონმდებლო აქტები ბიზნესის განვითარების სფეროში, ეკონომიკური თეორიები, საბაზრო ეკონომიკის, ბიზნესისა და მცირე ბიზნესის შესახებ სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო გამოკვლევები და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომები, სამთავრობო პროგრამული დოკუმენტები და მცირე ბიზნესის განვითარების კონცეფციები, საკანონმდებლო აქტები. ნაშრომში გამოყენებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში არსებული მეცნიერული გამოკვლევები და პუბლიკაციები, მეცნიერ-ეკონომისტთა კონფერენციებისა და სამეცნიერო სესიების მიერ მიღებული პრაქტიკული რეკომენდაციები. კვლევის დროს გამოყენებული იქნა დაჯგუფების, შედარების, ანალიზის, სინთეზის მეთოდები. ნაშრომის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემები, სტატისტიკის

ეროვნული სამსახურის სტატისტიკური კრებულები, პუბლიკაციები, ბიზნესის სფეროში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო შრომები, მეთოდური მითითებები და ბიზნესსუბიექტების ანგარიშები.

ლიტერატურის მიმოხილვა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეკონომიკური და სოციალური ასპექტები

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არაერთი პრობლემაა აღმოსაფხვრელი, რომლებიც ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის ეკონომიკაშიც. ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე საწარმოთა განვითარება, რაც განაპირობებს საბაზრო კონკურენციული გარემოს განვითარებას, სამომხმარებლო ბაზრის შევსებას საქონლითა და მომსახურებით, ახალი სამუშაო ადგილების ჩამოყალიბებას, მესაკუთრეთა ფართო წრის ფორმირებას.

"… ეკონომიკური მანევრირება, გადაწყვეტილების მიღების მოქნილობა, ტერიტორიულ-სივრცითი მობილურობა მცირე ბიზნესის არსებობას აუცილებელს ხდის თანამედროვე პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში" (ცეცხლაძე, 2012, 25).

მცირე და საშუალო ბიზნესს სახელმწიფოსათვის აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა, რადგან ეკონომიკის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეუძლია მისი პროდუქციისა და მომსახურების გარეშე არსებობა.

მცირე და საშუალო ბიზნესი ახორციელებს რიგ ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანებს. სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში გადასახადების ჩარიცხვის გარდა, მცირე ბიზნესი ავითარებს ეკონომიკურ სექტორს, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, განაპირობებს კონკურენციას. მაშასადამე, მცირე და საშუალო ბიზნესი გვევლინება ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორად.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის საერთო დაცემის პერიოდში სწორედ მცირე ბიზნესისაგან იქნა გაწეული მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკისათვის, როდესაც საჭირო იყო ახალ საბაზრო პირობებთან ადაპტაცია.

მსხვილმა სახელმწიფო საწარმოებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, მოხდა მათი დაშლა და პრივატიზება. ამდენად მცირე ბიზნესი ავლენს თავის მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, ახასიათებს რა ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი და პერსპექტიული მიმართულებით რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა.

მცირე და საშუალო ბიზნესი თითოეული ქვეყნისათვის წარმოადგენს საგადასახადო შემოსულობათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს; მცირე ბიზნესი მონაწილეობს ყველა დონის ბიუჯეტების ფორმირებაში. გარდა იმისა, რომ მცირე საწარმოები თავიანთი შემოსავლებიდან ბიუჯეტში რიცხავენ გარკვეულ თანხებს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, რაც წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის წყაროს, ხელს უწყობენ ფიზიკური პირებიდანაც გადასახადების ამოღებას (ცეცხლაძე, 2012, 27).

მცირე და საშუალო ბიზნესი მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. თანამედროვე პირობებში ინოვაციები მიჩნეულია ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინოვაცია არის ინვესტირების შედეგი ახალ გამოგონებებსა და ცოდნის მიღებაში, რომელიც ადრე არ გამოიყენებოდა ადამიანთა ცხოვრების სფეროების გასაახლებლად და მისი შემდგომი დანერგვის პროცესი, რომელსაც მოაქვს დამატებითი ფასეულობა მოგების, წინსვლის, პრიორიტეტის, ძირეული გაუმჯობესების, ხარისხობრივი ამაღლების ან პროგრესის სახით. ინოვაციები გულისხმობს არა მხოლოდ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებს, არამედ სიახლეებს სოციუმის არსებობის ორგანიზაციულ ფორმებში, როგორიცაა: განათლება, მართვა, შრომის ორგანიზაცია, მომსახურება, ინფორმატიზაცია, მეცნიერება და სხვა (ხუსკივაძე, 2010, 41).

თანამედროვე საბაზრო პროცესები ხასიათდება სეგმენტაციის მაღალი ხარისხით, რაც მცირე საწარმოთა ინოვაციურობის მაჩვენებელს განსაკუთრებით აქტიურს ხდის. მასიური ბაზრების ეპოქა უკან იხევს და დღეისათვის ბიზნესის ტენდენციათა განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება მომხმარებელთა მოთხოვნების

მრავალფეროვნება და ცვალებადობა, იქმნება საქონლისა და მომსახურების ახალი ბაზრები, რომელთა ტევადობაც უმნიშვნელოა. მცირე სწარმოებს შეუძლიათ სწრაფად და მოქნილად რეაგირება მომხმარებელთა მოთხოვნაზე, ახდენენ წვრილსერიული, უნიკალური და სპეციფიკური პროდუქციის მიწოდებას ცალკეულ საბაზრო სეგმენტებზე (ხუსკივაძე, 2010, 45).

საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის პირობებში მცირე ბიზნესის საწარმოებს უხდებათ სიახლეების დანერგვა, რათა გაზარდონ შემოსავლები და მოგება. მეწარმეები ყოველთვის მიისწრაფვიან ინდივიდუალურობისაკენ და სწორედ ეს მისწრაფება განაპირობებს მათი ცოდნის ფარგლების გაფართოებას. ყველა საწარმოს არ შეუძლია ფულადი საშუალებების დაბანდება ინოვაციურ საქმიანობაში, ამიტომაც თვითონ ცდილობენ შემდგომი განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შემუშავებას. ყოველივე ამისათვის აუცილებელია კომპანიის შემოქმედებით პოტენციალზე დაყრდნობა, ასევე კლიენტის მოთხოვნილებათა ცოდნა და გამოცნობაც კი. ლეილა ცეცხლაძე აღნიშნავს: „მცირე და საშუალო ბიზნესი შემთხვევით არ არის არჩეული ინოვაციური განვითარების ფუნდამენტად, ამას განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- მეცნიერული დამუშავებები მცირე ფირმებში წარმოებს მაქსიმალური ინტენსივობით, ვინაიდან ყველა ძალისხმევა მიმართულია ერთი პროექტისაკენ;
- მცირე ფირმებში მართვის აპარატი მცირეა, რაც ამცირებს ზედნადებ ხარჯებს და თავიდან იცილებს ისეთ ბიუროკრატიულ მომენტებსა და შეთანხმებებს, რომლებიც ამცირებენ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობას მსხვილ კომპანიებში;
- მცირე ფირმები, ჩვეულებრივ, უკეთესად ხედავენ ბაზრის განვითარების ტენდენციებს,რომლებიც ახლოა მომხმარებელთა მოთხოვნებთან, რაც წარმოებას ხდის უფრო მოქნილს. მცირე ბიზნესს აქვს დიდი სოციალურ-ეკონომიკური როლი“. (ცეცხლაძე, 2012, 27)

ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი უპირატესობები:

- „მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, რაც განაპირობებს საშუალო კლასის ფორმირებას და რაც წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრეს გარანტს;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის გაზრდა, რაც ადიდებს მოქალაქეთა შემოსავლებს და ათანაბრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კეთილდღეობაში არსებულ დისპროპორციებს;
- ყველაზე ენერგიულ, საქმის შემძლე ინდივიდთა წარმოჩენა, რომლებისთვისაც მცირე ბიზნესი ხდება თვითრეალიზაციის პირველი საფეხური;
- შედარებით დაბალი დანახარჯებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; განსაკუთრებით მომსახურების სფეროში;
- პროფესიათა შეთავსების უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სექტორიდან გამოთავისუფლებული, ასევე სოციალურად სხვებზე დამოკიდებული მოსახლეობის ჯგუფების (ლტოლვილები, ინვალიდები, ახალგაზრდები, ქალები) წარმომადგენელთა სამუშაოზე მოწყობა“(ცეცხლაძე, 2012, 28).

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში შედარებით მცირე პერსონალთა რიცხვი განაპირობებს მსხვილ კომპანიებთან შედარებით, შრომითი კოლექტივის ერთსულოვნებას. აღნიშნული კიდევ უფრო აძლიერებს საწარმოში არსებულ თანამშრომელთა მოტივაციას და დადებითად აისახება კომპანიის არსებულ და სამომავლო შედეგებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მცირე ბიზნესში შრომის მწარმოებლურობის შედარებით მაღალი ტემპებისა, შრომის ანაზღაურების დონე მსხვილ საწარმოებთან შედარებით დაბალია, რაც გამოწვეულია მეწარმეთა ეკონომიურობითა და შედარებით დაბალი შემოსავლიანობით. მცირე საწარმოთა მესაკუთრეები უფრო ილტვიან ფულის შენახვისა და ინვესტირებისაკენ, მათ ყოველთვის აქვთ მოტივაციის მაღალი დონე წარმატების მიღწევაში. (კერძო სექტორი..2010, 17)

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე საწარმოთათვის დამახასიათებელია ნაკლოვანებებიც, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- მსხვილ კომპანიებზე დამოკიდებულება;

- საკუთარი საქმის მართვაში ნაკლოვანებები;
- ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა;
- მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებზე მაღალი მგრძნობელობა;
- სიძნელეები დამატებითი ფინანსური საშუალებებისა და კრედიტების მიღებაში;
- ხელშეკრულებათა დადებისას სამეურნეო პარტნიორების დაურწმუნებლობა და გაუფრთხილებლობა და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებულ საწარმოთა დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ფუნქციები და შესაბამისი შედეგები. ეს არის საწარმოები, რომელთა საქმიანობაც მიმართულია „ეკონომიკის ინტენსიურ და ექსტენსიურ განვითარებაზე. ინტენსიური მიმართულების მცირე საწარმოები მძლავრ იმპულსს აძლევენ მსხვილ საწარმოთა განვითარებას, სწორედ აქ ყალიბდება გლობალური სტრუქტურული ცვლილებების საფუძველი. სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართულად არჩეულ პრიორიტეტულ სფეროებში მცირე საინოვაციო საწარმოთა გაფართოება მოწოდებულია მეცნიერულ-ტექნიკური გარღვევის მომზადებისათვის, გასაღების ბაზრებზე პროდუქციის ახალი სახეების აპრობირებისათვის, ტექნოლოგიური პროცესების გამართვისათვის, მსხვილი საწარმოებისათვის კადრების გადამზადების ძირითადი საკითხების შემუშავებისათვის“. (სიროპოლისი, ციტირებული ცეცხლაძედან, 2012, 29).

ინტენსიური მცირე ეკონომიკა არის პოლიგონი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ყველა ასპექტის დამუშავებისათვის. გლობალური ცვლილებებისას ეკონომიკაში ვერ ხერხდება ყველა წვრილმანის გათვალისწინება. ამ ნაკლის შევსებას უზრუნველყოფს ექსტენსიური მიმართულების მცირე საწარმოები. მოცემული მიმართულების მცირე საწარმოები ახორციელებენ პატარა დასახლებული პუნქტების, შორეული რაიონების ბაზრების ახალი საქონლით შევსებას. ყოველ მსხვილ სტრუქტურულ ცვლილებას ეკონომიკაში თან ახლავს საწარმოებიდან თანამშრომელთა მასიური გათავისუფლება, მათი გადამზადება და ახალ სამუშაო ადგილებზე მოზიდვა. ამ პერიოდში სოციალური სახის კონფლიქტების ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი, დროებითი დასაქმების უზრუნველყოფა, ექსტენსიური

ტიპის მცირე საწარმოთა პრეროგატივაა. ამ შემთხვევაში ისინი გვევლინებიან საზოგადოებრივი განვითარების სტაბილიზატორის ფუნქციის შემსრულებლებად. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი წარმოება არ უპირისპირდება მცირე მეწარმეებს, რაც წარმოადგენს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე ბიზნესის წარმატებულად განვითარების ერთ-ერთ მიზეზს. განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს მსხვილ და მცირე საწარმოთა კოოპერირების პრინციპის კულტივირება, ამასთან მსხვილი საწარმოები არ თრგუნავენ მცირე ფირმებს, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთს ავსებენ, განსაკუთრებით ცალკეული წარმოებებისა და ინოვაციურ შემუშავებათა სპეციალიზაციის სფეროში. შემთხვევითი არ არის, რომ მაგალითად აშშ-ში 10 ახალი გამოგონებიდან 9 იბადება მცირე ფირმებში. (სიროპოლისი, ციტირებული ცეცხლაძედან, 2012, 30). უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი და მცირე წარმოება, თუნდაც ერთი ტერიტორიის ან სეგმენტის ფარგლებში, როგორც წესი, არ გვევლინება ურთიერთშემცვლელებად. რომელიმე მათგანის გარეშე არსებობა ნიშნავს ეკონომიკის გარკვეული უჯრედის სიცარიელეს, რაც აისახება წარმოების ეფექტიანობის დაქვეითებაზე. მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ეკონომიკის ერთ მთლიან ორგანიზმს.

რთულია გავთვალოთ ეკონომიკის განვითარების მდგრადობა, თუკი მასში არ შეუძლიათ განვითარება კონკურენტულ საწყისებს, ან მსხვილი და მცირე ბიზნესის არსებობას პარალელურად. გარემოებას მცირე ბიზნესი მიჰყავს რაღაც სავაჭროსაშუამავლო ოპერაციების შემსრულებლამდე, რაც დღევანდელი საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მსხვილი ბიზნესი კი პრაქტიკულად წყდება ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნებს და გადადის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებათა მომსახურებაზე.

სულ სხვანაირი სიტუაციაა ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბებულია მსხვილი და მცირე ბიზნესის მყარი კავშირები. საინტერესოა მსხვილ კომპანიათა მცირე საწარმოებად დანაწევრებისადმი არსებული მიდგომები. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ გერმანიის საავტომობილო მრეწველობა, მსხვილი იაპონური კონცერნები, რომელთაც ჰყავთ სუბმონარდეების განვითარებული ქსელი, რომელშიც შედიან ათასობით მცირე და წვრილი საწარმოები. ასე მაგალითად: იაპონიის გადამამუშავებელ მრეწველობაში 750 ათასი ქარხანაა, მათგან 70%-მცირე

საწარმოებია, რომლებშიც 1-დან 9-მდე კაცი მუშაობს, ხოლო 10%-ში კი 10-დან 20-მდე თანამშრომელია (სამადაშვილი, 2009, 142).

იაპონიის საავტომობილო გიგანტებში „ტოიოტა“-ს და „ჰონდა“-ს მარკის ავტომობილებს აწყობენ, მათთვის საჭირო დეტალებისა და კვანძების დამზადება კი ათეულ ათასობით მცირე და საშუალო საწარმოში ხდება. მაგალითად იმ საწარმოში, რომელშიც ჰონდასათვის საჭირო პლასტმასის დეტალები მზადდება, სულ 9 ადამიანი ასრულებს აღნიშნულ სამუშაოს, მათ შესაბამისი საწარმო საკუთარ სახლში აქვთ მოწყობილი. ასეთი საქმიანობით დაკავებული პიროვნება მისი მეპატრონეცაა და ერთდროულად ერთადერთი მუდმივი მუშაკიც. მიუხადავად იმისა, რომ იგი სულ ორ ჩარხს ფლობს, ისეთ პრესფორმებს უშვებს, რომლებიც სრულად პასუხობს “ჰონდას” თითოეულ მოთხოვნას. შესაძლებლობას ამარტივებს დასამზადებლად საჭირო უმაღლესი ხარისხის მასალების მიწოდება შვეციიდან, სწორედ აქ უშვებენ მათ უფრო მსხვილი ქარხნები. (სამადაშვილი, 2009, 145).

“როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ძირითადი გამოგონებები ერთნაირი სიხშირით ხდება როგორც მცირე საწარმოებში და ცალკეული პირების მიერ, ასევე მსხვილ საწარმოებში. საწარმოთა ზომები უმნიშვნელო გავლენას ახდენს გამოკვლევათა ინტენსიურობაზე. მაგალითად მსოფლიოში საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობათა უმსხვილესი მწარმოებელი „ჯენერალ ელექტრიკი“ მცირე საწარმოებს მიაკუთვნებს მრავალ იდეას, რომელთაც მასიურად მოვიხმართ თითოეულ ოჯახში, მათ შორის ელექტროტოსტერების, სამზარეულოს ქურების, მაცივრების, ჭურჭლის სარეცხი მანქანის, მტვერსასრუტის გამოგონებას. მცირე საწარმოებმა და ცალკეულმა პირებმა შექმნეს პერსონალური კომპიუტერი, უჟანგავი ფოლადის საპარსი საშუალება, ტრანზისტორული მიმღები, ფოტომაკოპირებელი მანქანა, რეაქტიული ძრავა, მომენტალური ფოტოგრაფია. მათმა გამოგონებებმა მოგვცა ჩვენ ვერტმფრენი, კონდიციონერი, ცელოფანი და ბურთულიანი კალამიც კი“ (სიროპოლისი, ციტირებული ცეცხლაძედან, 2012, 36).

მსხვილი საწარმოები იშვიათად ითვისებენ გამოგონებებსა და სიახლეებს. ისინი აღიარებენ მათ, მაგრამ არ შეუძლიათ ყოველი ახალი გამოგონების დანერგვა საბაზრო სუბიექტების “თამაშის წესებში” სერიოზული კორექტივები, რაც გამოწვე-

ულია სამომხმარებლო ინტერესების გაფართოებით, მომხმარებელთა ინდივი-დუალიზაციის პროცესის გაძლიერებით, აღნიშნული ამაღლებს ბაზარზე მცირე ფირმათა მოქმედების შესაძლებლობებს. მათ აქვთ მანევრირების საშუალება, რაც გამოიხატება პროდუქციის ახალი წვრილსერიული ტიპების ათვისებაში, მოძრავ, მრავალფუნქციურ სამუშაო ძალაში, მარკეტინგში და ა.შ. მაგრამ ასეთ სიტუაციაში მცირე საწარმოთა მოქმედების მასშტაბები იზღუდება იზოლირებულ გარემოში ფუნქციონირებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის ისეთი უპირატესობები, როგორიცაა მოქნილობა, შემგუებლობა, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება და სხვა, მხოლოდ შიდა ბაზართან ორგანულ კავშირში განიხილება, დღეისათვის კი გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებამ მცირე ბიზნესის მოქმედების არეალი უფრო მეტად გააფართოვა.

შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მცირე საწარმოებისათვის ხელმისაწდომი გახდა თანამედროვე ინფორმაციები, ახალი ტექნოლოგიები და კრედიტები, შეიქმნა მცირე საწარმოებისათვის შიდა ბაზარზე მუშაობისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელსაყრელი გარემო. გლობალიზაციის პირობებში მსხვილი სტრუქტურა, ბაზარზე სტაბილიზაციის შენარჩუნების მიზნით, იძულებულია უარი თქვას იაფი მუშახელის გამოყენების დღემდე არსებულ გზაზე. ასეთი ორმხრივი ინტერესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა მსხვილი და მცირე სუბიექტების ურთიერთქმედების წინამძღვრები. მსხვილი სამეურნეო სტრუქტურები მცირე ბიზნესს ინტეგრაციულ პროცესებში გზას უკვალავენ და ქმნიან მისი შესაძლებლობების გამოყენების ხელსაყრელ პირობებს (ჭითანავა და სხვ., .2008, 43).

მსხვილი და მცირე საწარმოების კოორდინაციის სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია "მეწარმეობითი ქსელებით", რომლებიც ფირმებს შორის ურთიერთქმედებისას გამოირჩევიან ორგანიზაციულ-მმართველობითი პრინციპების ერთობლიობით. ქსელური მოდელის გამოყენებისას შეთანხმების ნიადაგზე გამოიყოფა და განისაზღვრება ხელმძღვანელი რგოლი, თუმცაღა პასუხისმგებლობა გადანაწილდება ყველა რგოლს შორის. ხელმძღვანელი რგოლი ახორციელებს

პარტნიორთა საქმიანობის კოორდინირებულ სამუშაო პროცესს. „მეწარმეობითი ქსელების“ ფუნქციონირების ეს ფორმა ხელს უწყობს, ერთის მხრივ, მასში ჩართულ სუბიექტებს შორის კონკურენციას, მეორეს მხრივ, კი ძლიერდება ყველა მონაწილის საქმიანობის კოორდინაცია, რაც ამაღლებს სისტემის საერთო კონკურენტუნა-რიანობას გარე ფირმებთან შედარებით. შესაბამისად ასეთი ქსელების უპირატესობებია: ახალ ბაზრებზე საქმიანობა, შეთანხმებებთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება, საწარმოო დანახარჯების შემცირება ძირითად ოპერაციაზე სპეციალიზაციითა და კონცენტრაციით. მსოფლიო მეურნეობის პრაქტიკაში მსხვილი და მცირე ბიზნესის ურთიერთობის ძირითადი ფორმებია: ლიზინგი, სუბარენდა, ფრანჩაიზინგი; ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებები (გოგიაშვილი, 2013, 23).

ამდენად, მცირე საწარმოები ხელს უწყობენ მსხვილი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტ-უნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ასპარეზზე. მცირე ფირმათა დიდი რიცხვი იმითაც არის განპირობებული, რომ ისინი აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს ისეთ სპეციალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთა მსხვილსერიული წარმოება, ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია. ასეთი საქონლის ბაზარი არ არის მსხვილი, მაგრამ უნიკალური სახის საქონლის მიმწოდებლები პოულობენ თავიანთ ნიშას ბიზნესის სამყაროში და თავიანთი წვლილი შეაქვთ ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების საერთო საქმეში.

მცირე და საშუალო ბიზნესი საზღვარგარეთის ქვეყნებში

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ფართო ქსელის შექმნა, მისი სახელმწიფოებრივი განვითარება, მისი ჩართვა ეკონომიკის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად - ყველა ეს პრობლემა უკვე რამდენიმე ათეული წელია წარმატებით წყდება განვითარებულ ქვეყნებში.

მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება პირველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო 1932 წელს ეკონომიკური კრიზის დროს, მან შეიმუშავა სესხების გაცემის ფედერალური პროგრამა.

დასავლეთში მცირე ბიზნესის განვითარების დონე განსაზღვრავს სახელმწიფოში ეკონომიკის განვითარების ხარისხს. მცირე ბიზნესის განვითარება მიმდინარეობს სწრაფი ტემპებით, რადგანაც განვითარებული ქვეყნების ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე საწარმოებს და მხარს უჭერს ფედერალურ დონეზე. მცირე ბიზნესი დასავლეთში განაპირობებს საშუალო კლასის არსებობას, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ბაზას ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. უფრო მეტიც, ყოფილმა განვითარებადმა ქვეყნებმა (ტაივანი, სინგაპური, ინდონეზია) მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მოახდინეს დიდი ეკონომიკური ნახტომი.

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები ძირითადად საბითუმო ვაჭრობაში (ფირმების საერთო რაოდენობის 17%), კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებასა (ფირმების საერთო რაოდენობის 17%) და ვაჭრობაში (ფირმების საერთო რაოდენობის 12 %) სპეციალიზდებიან (გოგიაშვილი, 2013, 55).

მცირე მეწარმეობის განვითარებას ბიძგი მისცა 1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც განაპირობა ეკონომიკის განვითარების პარადიგმების ცვლილება, საწარმოს რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გადასვლის პრიორიტეტულობა, რაც ახასიათებდა პროდუქტს, მომსახურებას, სიახლეს. ასეთ პირობებში ინდუსტრიული გიგანტების მკაცრი სტრუქტურები წაგებული დარჩნენ მცირე საწარმოთა მოქნილობასთან შედარებით, რომლებსაც შეეძლოთ რეაგირება კონიუნქტურის, მომხმარებელთა მოთხოვნის მცირე ცვლილებებზეც კი.

70-80-იან წლებში მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველს წარმოადგენდა ასევე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მომდევნო ეტაპის გაფართოება. მოხდა ცვლილებები საწარმოო ძალებში, რომლებიც პირველ რიგში უკავშირდება საინფორმაციო კომპლექსების შექმნას. გაჩნდა ტექნიკა - მიკროპროცესორები, მინი მოწყობილობები, კომპიუტერი და ა.შ., რომლებიც იყო მცირე ფირმათა ადეკვატური.

წარმოიშვა დარგები სადაც არსებით როლს მცირე ფირმები თამაშობდნენ. ეს დარგებია: ბიოტექნოლოგია, აკვაკულტურა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისება და ა.შ.

მცირე საწარმოთა ფუნქციონირების შესაძლებლობებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ მისი მცირე ზომები, სადაც არ არის მართვის ბიუროკრატიული სტრუქტურები ადამიანური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს იძლევა. სამეურნეო ერთეულების სიახლეებზე, ორგანიზაციულ ინოვაციებზე ორიენტაციის პირობებში ადამიანის როლის ზრდა იწვევს მცირე საწარმოთა განვითარების განსაკუთრებულ პერსპექტივებს. მცირე საწარმოებს ყოველთვის ეჭირათ დომინირებული მდგომარეობა ეკონომიკაში, მიუხედავად წარმოებაში მიმდინარე კონცენტრაციისა და გამსხვილების პროცესებისა.

XX ს-ის დასაწყისში გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიასა და შვეიცარიაში საწარმოთა 80-90%-ს შეადგენდნენ მცირე საწარმოები, თუმცა დასაქმებულთა რაოდენობით მსხვილი ბიზნესი გამოირჩეოდა. მცირე საწარმოებში საშუალოდ დასაქმებული იყო 2 ადამიანი, საშუალოში – 14, ხოლო მსხვილში - 190 ადამიანი. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ ერთი საუკუნის წინათაც მცირე მეწარმეობა ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორად გვევლინებოდა, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 30-40% ეკონომიკის მცირე სექტორზე მოდიოდა ევროპის აღნიშნულ ქვეყნებში. მომდევნო 70-80 წლის მანძილზე სიტუაცია მცირედითაც არ შეცვლილა, პირიქით შეინიშნება მცირე საწარმოთა განუხრელი ზრდა. მაგალითად, აშშ-ში 1960 წელს იყო 5 მლნ მცირე საწარმო, 1970 წელს - 10 მილიონი, 1980 წელს-14 მილიონი, ხოლო 1990 წელს კი მათმა რიცხვმა მიაღწია 20 მილიონს (გოგიაშვილი, 2013, 59).

2004 წლისათვის ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებდა 20 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომელშიც 122 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული. მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 65 მილიონს აღწევს. საწარმოთა 90%-ში დასაქმებულთა რაოდენობა 250 კაცს არ აღემატება (გოგიაშვილი, 2013, 61).

ევროპაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს. ევროკავშირში არსებული 20 მილიონზე მეტი

მცირე და საშუალო საწარმო იძლევა მთლიანი ბრუნვისა და დამატებული ღირებულების ნახევარს. ევროპაში მცირე ბიზნესი ასტიმულირებს კონკურენციის განვითარებას, "აიძულებს" მსხვილ კომპანიებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ევროკავშირის მთელი ეკონომიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებაზე, რომლის დროსაც ბალანსირდება სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესები, იქმნება ოპტიმალური პირობები სამეწარმეო საქმიანობისათვის, იზრდება კონკურენტუნარიანობა.

ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ პოლიტიკის შემუ შავება წარმოადგენს ფედერალური ხელისუფლების პრეროგატივას, ხოლო კონკრეტული ღონისძიებები რეალიზდება რეგიონული ხელისუფლების დონეზე. ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირებისა და მხარდაჭერის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ევროკავშირის ერთიანი შიდა ბაზრის გამყარება;
- ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრა;
- საკანონმდებლო ბაზის უნიფიკაცია, ევროკავშირის ქვეყნების ურთიერთქმედების გაძლიერება უფრო ღრმა ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის შემუშავებულ იქნა ახალი იურიდიული მოდელები (ევროპული აქციონერული კომპანია), რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს მისცემს საშუალებას გადაჭრან პრობლემები სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს შორის შეხედულებათა განსხვავებულობისას. ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფოს და ევროკავშირის ეგიდით. მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება ევროკავშირის ისეთი სტრუქტურული ფონდებიდან, როგორიცაა რეგიონალური განვითარების ფონდი, სოციალური ფონდი და სხვა. კრიზისულ პირობებს ევროპული მცირე ბიზნესი უფრო კარგად და ეფექტიანად შეეგუა მისი ბაზარზე მანევრირების შესაძლებლობის გამო.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე საწარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მთავარი მიზანია ყოველგვარი ბარიერის გაუქმება და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. სახელმწიფოს განვითარებას თვლიან პროგრესულად, თუ ის მცირე და საშუალო ბიზნესს წახალისების მიზნით შეღავათიან საგადასახადო სისტემას უქმნის. მაგალითად ფინეთმა მცირე შემოსავლიან მეწარმეებს გადასახადების განაკვეთები შეუმცირა, გერმანიამ სრულად გაათავისუფლა ბიზნესი ბრუნვის გადასახადიდან, ხოლო აშშ-ში კომპანიები, რომლებსაც მოგების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, გადასახადს შედარებით დაბალი განაკვეთით იხდიან, წარმოების შემდგომი განვითარებისათვის და ა.შ.

ზემოაღნიშნულმა და კიდევ სხვა ფაქტორებმა უნდა უზრუნველყოს თავი-სუფალი ბაზრის (სადაც ყველა მეწარმეს ექნება დამკვიდრების შანსი) ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების, შემდგომი გაფართოებისა და განვითარების საკითხებს თითქმის თანაბარი ყურადღება ექცევა, ხოლო საქართველოში მხოლოდ საწარმოს გახსნაა გაადვილებული და შემდეგ მათი ფუნქციონირების მონიტორინგიც კი არ ხორციელდება. ამიტომ არის, რომ მცირე საწარმოთა უმრავლესობა საერთოდ ვერ იწყებს მუშაობას, ზოგი უმოკლეს ვადაში აჩერებს წარმოებას, ზოგის ლიკვიდაციაც ხდება, მაგრამ აღნიშნული საგადასახადო ორგანოებისათვის უცნობია, რასაც მოწმობს საჩივრების ზრდა გაჩერებულ ან ლიკვიდირებულ საწარმოებზე სხვადასხვა საგადასახადო ვალდებულებების დაკისრებასა და არარსებულ საწარმოებზე საურავების დარიცხვასთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის დაწყებისათვის მთავარ პრობლემას საწყისი კაპიტალის უქონლობა წარმოადგენს, სწორედ ამიტომაა, რომ დიდი უმრავლესობა ბიზნესს (ნასესხები პროცენტიანი) ფულით ან ბანკის კრედიტით იწყებს, რომელთა პროცენტი იმდენად მაღალია, რომ ხშირად ის სავალალო შედეგებით მთავრდება. მეწარმე ყიდის თავის უძრავ-მოძრავ (ბინა, მიწის ნაკვეთი, მანქანა და სხვა) ქონებას და ბიზნესის განვითარების ნაცვლად ის მთლიანად დიდ ზარალს იღებს, უკეთეს

შემთხვევაში, წყვეტს წარმოების ფუნქციონირებას, ხოლო უარეს შემთხვევაში გაურბის ვალის გადახდის პასუხისგებლობას და სხვა ქვეყანას აფარებს თავს.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე მეწარმეობის განვითარების სინგაპურული გამოცდილება. სინგაპურში მცირე მეწარმეობის საფუძველს წარმოადგენს მომსახურების სხვადასხვა სახეების არსებობა. ესენია: სავაჭრო, საკომუნიკაციო, საფინანსო, ტურისტული და სხვა სახის მომსახურეობა. ეს სფეროები სთავაზობენ სამუშაო ადგილებს ქვეყნის მოსახლეობის 70-80%-ს. სინგაპურის მცხოვრებთა უმრავლესობა ეწევა ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას, ზოგი ფლობს აქციებსა და სხვადასხვა კომპანიათა ფასიან ქაღალდებს. ამდენად სინგაპურის მოსახლეობის 80% მიეკუთვნება საშუალო კლასს. ამ ქვეყანაში შექმნილია პირობები მცირე მეწარმეობისათვის, რომლებიც აღწერილია საკანონმდებლო აქტებში. განსაკუთრებული შეღავათები გაიწევა დამწყები მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ (ცეცხლაძე, 2012, 38).

სინგაპურში ფუნქციონირებს 140 ათასამდე მცირე და საშუალო ფირმა, რაც შეადგენს მთელი საწარმოების 90%-ს. მცირე მეწარმეობის ასეთი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სახელმწიფოს მხარდაჭერა (ცეცხლაძე, 2012, 38).

სინგაპურის ხელისუფლება ორიენტირებულია მცირე ბიზნესის განვითარებაზე და ხელს უწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე. მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სპეციალურად შექმნილია სააგენტო "შპრინგ", რომელიც შეიმუშავებს მცირე მეწარმეობისათვის დასახმარებელ მიმართულებებსა და პროგრამებს. ეს მიმართულებებია:

- მეწარმეობრივი უნარის განვითარება მცირე ბიზნესის სუბიექტებისათვის;
- საკონსულტაციო, საბუღალტრო და კონსალტინგური მომსახურების გაწევა;
- წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ხარისხზე კონტროლი;
- მცირე მეწარმეობის სტრუქტურის სრულყოფა;
- მცირე საწარმოების მართვისათვის კადრების მომზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის წახალისების მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლის მექანიზმები

მრავალფეროვნად გამოიყენება აშშ–ში, დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ასევე, გარკვეულწილად, პოსტკომუნისტურ და სხვა ე.წ. განვითარებად ქვეყნებშიც. საქართველოს მთავრობისათვის კი მისანიშნებელია, რომ საქართველოში, შესაძლოა, ძალზე ხელსაყრელად დავნერგოთ "წერტილოვანი" თავისუფალი ზონების პრაქტიკაც, რაც, ფაქტიურად, მიკრო ბიზნესზე ჩვენში გავრცელებული და მსოფლიოში აღიარებული შეღავათების გავრცელებას ნიშნავს გარკვეულ საწარმოებზე ეკონომიკის სრუქტურის ეფექტიანობის არსებითი ზრდის აუცილებლობებიდან გამომდინარე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე საგადასახადო განაკვეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ამძრავია, თუმცა, ზედმიწევნითმა ლიბერალიზებამ, კაპიტალდაბანდებათა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რისკის, ეროვნული ეკონომიკის სუსტი კონკურენტუნარიანობისა და მემკვიდრეობად დატოვებული მწვავე სოციალური პრობლემების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეგვიშალოს სტრუქტურული რეფორმებისათვის საჭირო თანხების მობილიზებაში.

სტრატეგიული პარტნიორობის როლი მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარებაში

ნებისმიერი ტიპის ბიზნეს საქმიანობა საწყის ეტაპზე საჭიროებს კვლევით და დაგეგმვით სამუშაოებს, რომლებიც კომპანიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დამწყები ფირმებისთვის არც თუ ისე მარტივია წვდომა მიიღონ ძვირადღირებულ და უკვე აპრობირებულ ტექნოლოგიებზე, რომლებსაც ბიზნეს პროცესებში დანერგავენ.

განვითარებული და უკვე დამკვიდრებული ფირმები კი დიდი რაოდენობით რესურსს, მათ შორის ფინანსურს, ხარჯავენ კვლევისა და განვითარების კომპონენტზე. ეს კი მათთვის ამარტივებს ახალი, თუნდაც სარისკო ბიზნეს პროექტების წამოწყებას.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტს, როგორც ინდივიდუალური ფირმებისთვის, ისე ზოგადად სფეროსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვლევასა და განვითარებაზე დაფუძნებული საქმიანობა.

ბიზნეს სექტორში უკვე დაფუძნებული კომპანიებისგან მცირე და საშუალო კომპანიები რამდენიმე ძირითადი ფაქტორით განსხვავდებიან. ესენია:

- რესურსები
- ინოვაციურობა
- კონკურენციისადმი დამოკიდებულება
- ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძალაუფლება
- ორგანიზაციული ნიშან-თვისებები
- საქმიანობის მიზანი
- დაგეგმვითი თავისებურებები

რესურსები

დამწყებ კომპანიებს აქვთ შეზღუდული ფინანსური, საწარმოო და მარკეტინგული რესურსები. ინვესტორებთან ურთიერთობაში მათ აქვთ ნაკლები ნდობა და თავდაჯერებულობა. ინვესტორთათვის კი ძნელია დააფინანსონ დამწყები, გამოუცდელი და შესაბამისი კომპეტენციის არმქონე კომპანიები.

დიდი კომპანიები კი ფლობენ ფულადი, საწარმოო თუ მარკეტინგული რესურსების რამდენიმე წყაროს. მათთვის შედარებით მარტივია მოიძიონ რამდენიმე პარტნიორი და ნაკლებად სარისკო საქმიანობა გაწიონ.

ინოვაციურობა

მცირე და საშუალო კომპანიების ძირითადი საქმიანობა დაფუძნებულია კვლევით კომპონენტზე, ისინი მუდმივ ძიების პროცესში არიან. ეძებენ ახალ ინოვაციურ გზებს რათა განავითარონ პროდუქტები და სერვისები და შესაბამისად მიიღნ ეკონომიკური სარგებელი.

დიდი კომპანიები ამ მხრივ ნაკლებად ინოვაციურები არიან. მათ აქვთ დიდი გამოცდილება და იციან რომელი პროექტი თუ სერვისი იქნება მომგებიანი. შესაბამისად ნაკლებ რისკს წევენ და სიახლეებს ნაკლებად ეძებენ, რადგან აქვთ უკვე გამოცდილი გზა თუ როგორ მიიღონ მაღალი შემოსავლები.

კონკურენციისადმი დამოკიდებულება

ვინაიდან დამწყები კომპანიები ბაზარზე ოპერირებას ნაკლები გამოცდილებით იწყებენ, მათ არ აქვთ ღრმა და ყოვლისმომცველი ინფორმაცია ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად ისინი გამოწვევებს გაცილებით დიდი ენერგიით, ენთუზიაზმით იღებენ, არ უფრთხიან საშიშროებებს და მზად არიან წავიდნენ რისკებზე, თუნდაც ეს კომპანიის არსებობას უქმნიდეს საფრთხეს.

განსხვავებით მათგან დიდი კომპანიები ნაკლები ენთუზიაზმით, თავდაჯერებულად მოქმედებენ და უფრთხიან სარისკო ქმედებებს. კოლეგებისგან განსხვავებით ისინი თითქმის არასდროს ახორციელებენ ისეთ სვლებს, რომლებიც თუნდაც უმნიშვნელო საფრთხის შემცველია.

ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძალაუფლება

მცირე და საშუალო კომპანიები, მათი საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე ბაზრის მცირე წილს აკონტროლებენ და აქვთ შესაბამისად მცირე გავლენა ბაზარზე. ამიტომ ისინი ნაკლებად მდგრადები არიან თუნდაც უმნიშვნელო ქმედებებზე და არსებობს საშიშროება რომ ბაზრის თუნდაც მცირე ცვლილებისას მათმა ნაწილმა ვერ გაუძლოს კონკურენციას და შეწყვიტოს საქმიანობა.

რაც შეეხება გამოცდილ და დიდ კომპანიებს, ბაზრის წილის შესაბამისად, მათ დიდი გავლენა აქვთ ბაზარზე და რიგ შემთხვევებში ბაზარს თავად კარნახობენ თავიანთ წესებს, რაც მსოფლიო პრაქტიკაში არაერთხელ მომხდარა. ისინი გავლენით ახერხებენ შექმნან მონოპოლიური თუ ოლიგოპოლიური გარემო და აიძულონ ,,უმცროსი“ კოლეგები დატოვონ ბაზარი.

ორგანიზაციული ნიშან-თვისებები

მასშტაბებიდან გამომდინარე მცირე და საშუალო კომპანიების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაა, რაც მათ საქმიანობას განაპირობებს. მათი ორგანიზაციული სტრუქტურებიც ძირითადად ჰორიზონტალურია და ნაკლებადაა დატვირთული იერარქიული წინააღმდეგობებით. შესაბამისად, გზა იდეის მოფიქრებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო შემდგომ ამ იდეის განხორციელებამდე, გაცილებით მცირეა. ეს კი მათ მოქნილ და ეფექტურ ხასიათს უსვამს ხაზს.

გაცილებით სხვა მდგომარეობაა დიდი კომპანიების ორგანიზაციულ სტრუქტურებში. უმეტეს შემთხვევებში ისინი დეპარტამენტებისა და სხვა ორგანიზაციული რგოლების ერთ დიდი მანქანას წარმოადგენენ, სადაც ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო გადაწყვეტილების მიღება, რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის გავლას საჭიროებს და დროში ძალიან იწელება. მათი სტრუქტურა ძირითადად ვერტიკალურია და ერთი რგოლის საქმნიანობა ხშირად მეორე რგოლის საქმინობაზეა დამოკიდებული, რაც ამ ტიპის კომპანიებს, შედარებით მოუქნელს ხდის.

საქმიანობის მიზანი

მეწარმეობა - ამ სიტყვის სრულფასოვანი გაგებით გულისხმობს პროდუქტისა და სერვისის ინოვაციური, ხშირ შემთხვევაში სარისკო, მაგრამ მომოხარებლის მოთხოვნებზე დაფუძნებულ საქმინოაბას. სწორედ ამ ტიპის კომპანიები წარმოადგენენ მცირე და საშუალო ბიზნესს. მათი მთავარი მამოძრავებელი ძალა მომხმარებელია, რადგან მათ იციან, რომ ნებისმიერი აზრი და შენიშვნა მომხმარებლის მხრიდან, მათი ბიზნესის მომავალს განაპირობებს. შესაბამისად მსგავსი ფირმების საქმიანობის ამოსავალი, პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას და მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება/შენარჩუნებაა.

რა ხდება დიდ კომპანიებში? დროსთან ერთად იზრდება მათი გამოცდილება და ცოდნა, შესაბამისად გავლენა და ბაზრის წილი. ერთ დროს პატარა ფირმა, რომელიც თავის მთავარ მიზნად მომხმარებლების კმაყოფილებას ისახავდა, დღეს უკვე საქმიანობის გაფართოებას და ბაზარზე ადგილის გამყარებას ცდილობს. ეს ლოგიკური პროცესია და ამ გზას ვერავინ გაექცევა მაგრამ კომპანიის ზრდასთან ერთად ასეთი კომპანიები ზრდიან დისტანციას მათ მთავარ რესურსთან, ადამიანებთან, რომლების მათ სერვისსა და პროდუქტს მოიხმარენ. მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება ასეთმა მიდგომამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს, მაგრამ დროთა განმავლობაში მომხამრებელთან დაშორება აუცილებალდ გამოიწვევს ფირმის კრახს.

დაგეგმვითი თავისებურებები

დამწყები კომპანიები იმყოფებიან მუდმივი წნეხი ქვეშ, რაც გულისხმობს ფინანსური, საწარმოო თუ სხვა ბიზნეს ოპერაციებისთვის აუცილებელ რესურსებს. ბაზარზე მინიმუმ ადგილის შენარჩუნებისთვის მათი ერთადერთი ამოცანა სწრაფი და მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღებაა რაც შესაბამის შედეგებს მოიტანს. მათი საქმიანობა ყოველდღიურ ქმედებებზეა დამყარებული და თუნდაც ერთი დღის არასწორმა დაგეგმვამ შეიძლება არასწორი მიმართულებით წაიყვანოს კომპანია. ამ ტიპის კომპანიებს ტაქტიკური მოქმედებები უფრო ახასიათებთ ვიდრე სტრატეგიული.

დიდი კომპანიების შემთხვევაში კი მათი ძირითადი საქმიანობა, გრძელვადიან სამოქმედო გეგმაზეა დამყარებული. ამ სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა კი საბოლოოდ უმნიშვნელოდ ახდენს გავლენას ფირმის სამომავლო საქმინობაზე. რა თქმა უნდა მსგავსი ტიპის კომპანიებშიც არსებობს ტაქტიკური გეგმები მაგრამ ძირითადი როლი მაინც გრძელვადიან სტრატეგიებს უკავია.

რაც შეეხება მცირე და საშუალო კომპანიებისთვის კოლაბორაციისა და პარტნიორობის როლს ამ სექტორის განვითარებაში. დიდი კომპანიები პროცენტულად ნაკლები რაოდენობით ოპერირებენ ბაზარზე, თუმცა ამის მიუხედავად ბიზნეს გარემოს დაახლოებით 80%-ს აკონტროლებენ.

ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ზემოთ აღინიშნა, მცირე და საშუალო კომპანიებისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია პარტნიორებთან ერთად ე.წ. ალიანსების შექმნა, რათა გამარტივდეს რესურსების მოძიების, ბაზრის კვლევის, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების, ინვესტორებთან მომგებიან მდგომარეობაში ყოფნა და რაც მთავარია ბაზრის დიდი მოთამაშეებისთვის სრულყოფილი კონკურენციის გაწევა. თუმცა გარდა ბაზრის წილის გაზრდისა მცირე და საშუალო კომპანიების ინტერ ორგანიზაციული ურთიერთობები ზოგად ჭრილში ძალიან კარგ გავლენას ახდენს ბაზრის განვითარებაზე. ურთიერთობები, რომლებიც ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი საქმიანობით ბიზნეს გარემოს ახალ დონეზე გადაყვანას ემსახურება, საბოლოო ჯამში მოგვცემს ეროვნული ინტერესის შედეგს - ქვეყანა მიიღებს ძლიერ, კონკურენტუნარიან მცირე და საშუალო სეგმენტს, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს როგორც ეკონომიკის გაძლიერებაზე ისე დასაქმების მაჩვენებლის ზრდაზე.

Das, T. K. Strategic Alliances for SME Development. Information Age Publishing, 2015

ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური სარგებელი

თანამედროვე ტექნოლოგიები საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოს ორგანიზაციასა და ფუნქციონირებისთვის. მათი მთავარი მიზანი - მოგების ზრდაა სხვადასხვა დანახარჯების შემცირების ხარჯზე.

იმაზე, თუ როგორ მიუდგებით ტექნოლოგიების არჩევას და მათ დანერგვას საწარმოში, დამოკიდებულია ბიზნესის სტაბილურობაც, მისი განვითარებაც, რომელიც დაკავშირებულია ახალი მომხმარებლების მოზიდვასთან და ბაზრის ფორმირებასთან.

მრავალ დამწყებ მეწარმეს ეშინია ახალი ტექნოლოგიების შემოღება - ჩვეულებრივ, ეს დაკავშირებულია გაურკვევლობასთან, აგრეთვე, მათ არ სურთ სახსრების ხარჯვა, რომლებიც შესაძლებელია სხვა მიმართულებით დახარჯონ. ნამდვილად, საწყის ეტაპზე ტექნოლოგიების დანერგვა საჭიროებს ფინანსების სერიოზულ ხარჯვას, მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი შეიძლება გამართლებული იყოს - ასეთ დაბანდებებს ხომ მოგება საკმაოდ სწრაფად მოაქვს, აგრეთვე, მცირდება დანახარჯები, თანამედროვე მოწყობილობებმა მრავალ ეტაპზე შეიძლება შეცვალოს ადამიანის შრომა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იძლევა შემდეგ უპირატესობებს:

- ენერგომატარებლების დანახარჯების ეკონომია - თანამედროვე ტექნიკა ხასიათდება დაბალი მოხმარებით;
- ბიზნესის წარმოების ეფექტურობის გაზრდა;
- წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- საწარმოო დანახარჯების შემცირება;

გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას გვაძლევს შევამციროთ „ადამიანური ფაქტორის“ რისკები და შეცდომების, რასაც ხშირად მივყავართ წარმოების შეჩერებამდეც კი.

ბოლო დროს საზოგადოების ინფორმატიზაციის დონის მასშტაბურ ზრდასთან დაკავშირებით ბიზნეს-პროცესების ახლებურად გააზრება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტის მაქსიმიზაციის მიზნით.

კომპანიის საქმიანობის სფეროს მიუხედავად: მრეწველობა, მშენებლობა, მომსახურეობათა გაწევა და ა.შ. ბიზნეს-პროცესების მართვის თეორიაში მიზანშეწონილია გავზარდოთ მათი ეფექტურობა ინჟინირინგის ან რეინჟინირინგის გზით (Деминг Э. 2009. 370). მრავალი ავტორის აზრით, ყველაზე მართვადია ქვედანაყოფების ფუნქციური პროცესები, აგრეთვე, დეკომპოზიციის ქვედა დონის პროცესები, ე.ი. ერთი ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაო ადგილზე.

მცირე და საშუალო კომპანიების საქმიანობა უზრუნველიყოფილია ბიზნეს პროცესების ხარჯზე, რომლებიც სტაბილურ და კვლავწარმოებად მდგომარეობაშია (Репин В.В. 2011. 240). მცირე და საშუალო კომპანიებში ფუნქციათაშორისი

პროცესები ყველაზე ხშირად რჩებიან არა სტრუქტურირებული და არა რეგლამენტირებული ან პროცესების ფუნქციები აღწერილია ზედაპირულად. დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ ნებისმიერი საქმიანობის შესრულება არასტრუქტურირებული პროცესის ჩარჩოებში იწყება კოლექტივის მიერ თვითორგანიზებულად. შემდგომში სისტემატური თვითორგანიზაცია ზრდის კომპანიის მართვადობის სრული დაკარგვის რისკს, რასაც მივყავართ სტრუქტურული ქვედანაყოფის ან მთლიანად კომპანიის ჩარჩოებში დასახული მიზნების მიღწევის შეუძლებლობამდე. ასეთ საქმიანობას, როგორც წესი, თან სდევს რესურსების გადაჭარბება (მაღალანაზღაურებადი მენეჯერები და სპეციალისტები), იქცევა რა პრობლემის ძვირადღირებულ გადაწყვეტილებად, განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი დგას ფუნქციათაშორის პროცესებში. რიგი ავტორთა თვალსაზრისით, არსებობს ფაქტორები, რომლებისთვის მნიშვნელოვანია მოცემული პროცესის განსაზღვრისთვის:

- პროცესის მონაწილეებად გამოდიან სხვადასხვა ქვედანაყოფების (სტრუქტურების) სპეციალისტები;
- პროცესი განიხილება განყოფილებების ან თანამშრომლების დონეზე;
- ერთი ხელმძღვანელის მიერ პროცესების ორგანიზაციასა და კონტროლზე ოპერატიული საქმიანობის შესაძლებლობა;
- პროცესის შედეგად გამოდის კომპანიის მიზნების მიღწევა ან მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- შესაძლებლად მიგვაჩნია საქმიანობის გაუმჯობესება ერთი პროცესის ფარგლებში ფუნქციათაშორისი ურთიერთქმედების ოპტიმიზაციის ხარჯზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ნაკრები აქცევს პროცესების გამოყოფის ამოცანას შრომატევადს და არა ყოველთვის მიზანშეწონილ საქმედ. შესაბამისად, „ნებისმიერი პროცესი სტრუქტურირებისა და გამოყოფის გარეშე გააჩნია არაფორმალური ურთიერთქმედების ჩარჩოებში არასტრუქტურირებული საქმიანობის სტატუსი“ (Елиферов В.Г. 2009. 319).

რიგი მკვლევარები: ვ.გ. ელიფეროვი, ვ.ვ. რეპინი, მ. ჰამერი, დ. ჩამპი, ჯ. ჰარინგტონი, გვთავაზობენ ფუნქციათაშორისი პროცესების მართვის სხვადასხვა

ხერხებს. ფუნქციათაშორისი პროცესების მართვის ვარიანტები წარმოდგენილია ცხრილში (Эккерсон У. У. 2007.396).

გამოყოფილი ფუნქციათაშორისი (გამჭოლი) პროცესების მართვის ორგანიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ ვარიანტებს, ჩვენი აზრით, გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები. ჯერ ერთი, „არაფრის არშეცვლის“ ხერხი არის მხოლოდ ერთ-ერთი ნაბიჯი კომპანიაში პროცესების მართვის ორგანიზაციისკენ და არ ამოწურავს საკუთარ თავს როგორც ბაზისურ მიდგომას. მეორეც, „პროცესის ირგვლივ ჯგუფის ორგანიზაცია“ პრაქტიკაში გამოიყენება ლოკალურად, კომპანიის საქმიანობის მხოლოდ ნაწილის გამოყენებით. მესამეც, „მატრიცულ მართვაში“ სტრუქტურა ძალზე მგრძნობიარეა რესურსებისადმი. ოპერატიული მართვისთვის პროექტების ხელმძღვანელთა ნაკლოვანება შეიძლება აქციოს სისტემა მატრიცულიდან ხაზოვან-ფუნქციურად.

ფუნქციათაშორისი პროცესების მართვის ვარიანტები

	მართვის ვარიანტი	**მიდგომის სპეციფიკა**
	„არაფერი არ იცვლება“	ახდენენ გამოყოფილი პროცესის აღწერასა და სქემატიზაციას რაიმე ორგანიზაციული ცვლილებების გარეშე
	„პროცესის ირგვლივ ჯგუფის ორგანიზაცია“	პროცესის ირგვლივ ახდენენ სპეციალისტების ჯგუფის ორგანიზაციას სხვადასხვა ფუნქციური ქვედანაყოფებიდან, ცალკეული სივრცის გამოყოფით, და სხვა რესურსებიდან. ხელმძღვანელი სრულად აგებს პასუხს პროცესის შესრულებაზე
	„მატრიცული მართვა“	კურატორებს ამაგრებენ კონკრეტულ კონკრეტულ გამჭოლ პროცესს, განკარგულებაში ყავთ რა საჭირო სპეციალისტები
	„კურატორი უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან“	კურატორი ღებულობს ინფორმაციას პროცესის მსვლელობის შესახებ (საშუალო დონის

		უფროსების თავზე გადასვლით) და იღებს მმართველობით გადაწყვეტილებებს.
	„მართვა რეგლამენტებით“	პროცესის რეორგანიზაცია სარეგლამენტაციო დოკუმენტებში შესრულების ტექნოლოგიების შემდგომი განმტკიცებით.

მეოთხეც, „კურატორები უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან“, შედიან რა პროცესში და ცდილობენ რა მოკლე დროში გაერკვენ პრობლემებში, დაჰყავთ ამ გადაწყვეტილებების ეფექტურობა ნულამდე, პრობლემების სიღრმისეული მიზეზ-ების გაუგებრობის გამო. მეხუთეც, ფუნქციათაშორისი პროცესების საქმიანობის რეგლამენტაცია ხდება ძალზე მსხვილი დოკუმენტი, რომელიც ორგანიზაციაში გამოიყენება არა მთლიანად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნაწილებად.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი არსებული მიდგომა გამჭოლი პროცესების მართვის ორგანიზაციისადმი არ არის ეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაზე ორიენტირებულ კომპანიებში გამოყენებისას (Елиферов В.Г., 2009. 319 და Хаммер М., Хершман Л., 2012. 350).

დღეისათვის ფუნქციათაშორისი პროცესების მართვის ყველა ხერხი, ავტორის აზრით, არ წყვეტს მთავარ ამოცანას - უმოკლეს (ოპტიმალურ) დროში ოპერაციის შესრულებას. შექმნილი რეგლამენტების მიუხედავად, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ვადებს ნულამდე დაჰყავთ ამოცანის შესრულების გონივრული ვადები. ეს აუცილებლად აისახება სამუშაოების წარმოების გრაფიკზეყველა ნეგატიური შედეგით (გრაფიკის დარღვევა).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამჭოლი პროცესების ორგანიზაციის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს შემსრულებლებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობას შორის „საკვანძო“ ინფორმაციის გავრცელების ქაოტურობა (განსაკუთრებით ხშირად ეს ხდება მცირე და საშუალო ორგანიზაციებში), რადგან ინფორმაციასთან მუშაობის თანამედროვე მეთოდები გვთავაზობენ ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის წარმოების სხვადასხვა ხერხებს (ინფორმაციის შენახვა ქაღალდის მატარებლებზე, ციფრულ და გადასაღებ მატარებლებზე), ინფორმაციის მიბმა მატარებელთან

აფერხებს ინფორმაციის მისამართულ მიღებას დადგენილ დროში კონკრეტული ამოცანის შესრულების ან გადაჭყვეტილების ოპერატიული მიღებისთვის.

ჩვენი აზრით, ეს ამოცანა შეიძლება გადაჭრას „ღრუბელმა“. ის წარმოადგენს არეს, სადაც ერთიან საინფორმაციო სივრცეში გაერთიანებულია კომპანიის ან ცალკეული სტრუქტურის თანამშრომელთა საქმიანობა, რომელიც ჩართულია ფუნქციათაშორისი პროცესების შესრულებაში. მოცემული ველი შეიცავს მუდმივად განახლებად ინფორმაციას პროცესის შესრულების მსვლელობის შესახებ (პირველადი დოკუმენტაცია, შეთანხმების ეტაპები, შენიშვნები, კონტაქტები, ცალკეული სპეციალისტის მიერ ქვეამოცანების დამუშავებულობის ხარისხი). ეს საშუალებას მისცემს ხელმძღვანელს რეალური დროის რეჟიმში განახორციელოს მონიტორინგი და შეიტანოს კორექტირება, ხოლო პროცესში მონაწილე ითოეულ სპეციალისტს - შეიტანოს თავისი წილი კოლექტიურ წვლილში, ასრულებს რა თავის ქვეამოცანებს.

„ღრუბლის“ ადაპტაცია და დანერგვა გამოყოფილ გამჭოლ პროცესის თაობაზე საკვანძო ინფორმაციის შენახვისთვის საშუალებას მოგვცემს ჩავკეტოთ დამუშავებულ ბიზნეს-პროცესთან დაკავშირებული პირდაპირი და უკუკავშირების წრედი პროცესში ჩაბმულ თანამშრომლებზე, შექმნა რა ერთიანი საინფორმაციო სამუშაო სივრცე. საინფორმაციო ველი უზრუნველყოფს, აგრეთვე, ყველა იმ საჭირო ცნობის მიღების შესაძლებლობას რეალური დროის რეჟიმში, რომელიც ეხება პროცესს.

„ღრუბლის“ შექმნა იძლევა გამჭოლი ბიზნეს-პროცესების კოორდინაციის, აგრეთვე, ახალი სახით მათი მართვის შესაძლებლობას. პირველ რიგში, აღარ იქნება ყველა პროექტებზე საჭირო დოკუმენტებისა და ინფორმაციის (იურიდიული, საკადრო და სხვა კორპორაციული ინფორმაციის ჩათვლით) ცენტრალიზებული შენახვის ხარჯზე მათი ძებნის საჭიროება. მეორეც, უქაღალდო დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობის წყალობით მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები ავტომატურად გამოჩნდება ნებისმიერ ხელმისაწვდომ საინფორმაციო მატარებელზე, რომელსაც აქვს კავშირი ინტერნეტთან.

„ღრუბელი“ უზრუნველყოფს შესასრულებელ პროცესზე ინფორმაციის აქტუალურ მდგომარეობაში შენარჩუნების შესაძლებლობას, რაც მოგვცემს შესაძლებლობას თვალყური ვადევნოთ თანამშრომლების მიერ ამოცანების შესრულების მსვლელობას, ერთდროულად უზრუნველყოფს რა თითოეულ მათგანს მთელი აქტუალური ინფორმაციით პროექტზე მაქსიმალურად პროდუქტიული მუშაობისთვის. შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სამუშაო ადგილიდან ინფორმაციასთან წვდომის მიღება, რაც საშუალებას მოგვცემს მყისიერად ვიპოვოთ საჭირო ინფორმაცია, გავუზიაროთ კოლეგებს ძირითადი დოკუმენტაცია და უზრუნველყოფა ურთიერთქმედების ოპერატიულობას. ადმინისტრირების სისტემა საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ წვდომა უფლებამოსილებათა დონეების მიხედვით. თუ ერთ-ერთი თანამშრომელი ტოვებს კომპანიას, მაშინ „ღერუბლოვან საცავში“ დარჩება მთელი ინფორმაცია, რომელსაც ის იყენებდა თავისი თნამდებობრივი ვალდებულებების შესრულების პროცესში: კონტაქტები, საქმიანი მიმოწერა, დანომრილი დოკუმენტები, ჩანაწერები ბლოკნოტებში და ა.შ.

“ღრუბელი“ ფუნქციათაშორისი პროცესის ხელმძღვანელებს მისცემს შესაძ-ლებლობას განახორციელონ პროექტების რეალიზაციისა და შესრულების მსვლე-ლობის ონლაინ-მონიტორინგი, შეიტანონ მნიშვნელოვანი შესწორებები პროექტის ნებისმიერ ეტაპზე, დასახონ პრიორიტეტები ამოცანებზე, მართონ შეხვედრების განრიგი, მუდმივად იყვნენ კოლეგების სამუშაო პროცესის კურსში რეალური დროის რეჟიმში თითოეული სპეციალისტის საინფორმაციო აქტივობის წყალობით.

„ღრუბლის“ დანერგვის მიზნად არ უნდა იქცეს მთელი ინფორმაციის შენახვის ერთიანი ადგილის შექმნა. ადმინისტრირების სისტემა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ სამუშაო გარემო გამჭოლი პროცესებისთვის ცალკეული სამუშაო ადგილების გამოყოფის გარეშე, რაც, აგრეთვე, გაადვილებს საქმიანობის რეგლამენტაციას. შესასრულებელი პროცესის თანამშრომლების მიერ კომპანიის მიმდინარე საქმიანობაზე ინფორმაციის მუდმივი აქტუალიზაციის შესაძლებლობა საშუალებას მისცემს ხელმძღვანელს უფრო ეფექტურად მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილებები ნეგატიური შედეგების გარეშე.

ამ სერვისის საშუალებით, მუშაობის ორგანიზაციის სტრუქტურული ხერხი ოპტიმალურად ააგებს მუშაობას სამუშაო ჯგუფების მიხედვით. ეს საშუალებას მოგვცემს:

1. მოვახდინოთ სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ავტომატიზაცია; სამუშაო ჯგუფებისთვის უფლებამოსილებების მინიჭების შემთხვევაში ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას და საქმიანობის კოორდინაციას ჰორიზონტზე;
2. შევცვალოთ ბიუროკრატიული ტიპის უხეში მმართველობითი კავშირები მოქნილი კავშირებით;
3. ამოცანების შემუშავებისა და გადაჭრისთვის მოიწვიოთ სხვადასხვა ქვეგანყოფილებების თანამშრომლები ოფისის სიშორის მიუხედავად (შვილობილი კომპანიები, ფილიალები და ა.შ.).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი სისტემური ეფექტი გამჭოლი პროცესების ჯგუფის მართვისა და ოპტიმიზაციისთვის შეიძლება მიღებულ იქნეს კომპანიის ხელმძღვანელთა აქტიური მონაწილეობისას, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ პროცესთა მფლობელების, პროცესთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელებისა და სტრუქტურული ქვეგანყოფილებების უფროსების წარმატე-ბულ საქმიანობასა და ურთიერთქმედებას. პროცესთა ჯგუფის ოპტიმიზაცია და ეფექტური მართვა ვერ იქნება ერთი ადამიანის მუშაობის შედეგი. ეს უფრო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების გუნდის ამოცანაა.

შეცდომები პროცესთა ოპტიმიზაციის პროცესში:

საერთოდ, საქმიანობის და, კერძოდ, ბიზნეს-პროცესების ინტუიციური ოპტიმიზაციისას, როგორც წესი, უშვებენ ოთხი ტიპის შეცდომას:

- კონცენტრაცია არაარსებითზე, მაგრამ ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან დეტალებზე;
- ინტუიციის გამოყენება ტექნოლოგიების ნაცვლად;
- ოპტიმიზაციის ტექნოლოგიის არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ტოპ-მენეჯერების უშუალო მონაწილეობა სამუშაო პროცესში.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომა - მეორეხარისხოვან და კომპანიის საქმიანობის ეფექტურობისთვის არამნიშვნელოვან დეტალებში ჩაღმავება. პრაქტიკაში ეს ნიშნავს ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც სუსტ და არაპირდაპირ გავლენას ახდენენ პროცესების შედეგებზე, მაგრამ თამაშობენ „უკანასკნელი წვეთის“ როლს. მაგალითად, მიწოდების ვადის მორიგი დარღვევის შემდეგ, მიწოდების განყოფილების უფროსი თავს იმართლებს იმით, რომ ყველაფერი გააკეთა განაცხადის მიხედვით, და დირექტორი იწყებს „მიწოდებაზე განაცხადის“ ფორმის გაუმჯობესებას. ვადის დარღვევის რეალური მიზეზი კი იმალება არა განაცხადის ფორმაში, არამედ პროცესში და შეიძლება იყოს სრულიად სხვა პროცესში, მაგალითად, შესყიდვაში ან გაყიდვაში, და ოპტიმიზაცია უნდა დაიწყოს პროცესების ანალიზიდან.

ინტუიციის გამოყენება ტექნოლოგიების ნაცვლად - ეს ხდება ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის ტექნოლოგიების სუსტი განვითარებისა და მათი არასაკმარისი გავრცელებულობის გამო. გარდა ამისა, იმ იშვიათ წიგნებში, რომლებიც აღწერენ ოპტიმიზაციის რეალურ ტექნოლოგიებს, გამოიყენება ძალზე რთული ენა და ძალზე ბევრი ყურადღება ეთმობა დეტალებსა და ფორმულებს.

კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების შეტანისას ხელმძღვანელი იძულებულია მოახდინოს ორ უკიდურებას შორის ბალანსის შენარჩუნება. ერთის მხრივ - არსებობს მოუფიქრებელი გადაწყვეტილებით აწყიბილი და დამკვიდრებული პროცესების დარღვევის საშიშროება. მეორეს მხრივ კი - არსებობს მაქსიმალურად ეფექტურობის გაზრდის, ე.ი. ყველაფრის „მიწასთან გასწორება, ხოლო შემდეგ...“რაღაც კარდინალურად ახლის აგების სურვილი. სწორედ მეორე პარადიგმას ეფუძნება ბიზნეს - პროცესების რეინჟინირინგი, რომლის პროპაგანდაც მიმდინარეობდა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ.

სახელმძღვანელოებში ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის საკითხებზე მოყვანილია მსხვილი საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის ეფექტურობის მრავალჯერადი გაუმჯობესების შესანიშნავი მაგალითები.

ტომ დავენპორტი გამოყოფს შემდეგ განსხვავებებს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგსა და ოპტიმიზაციის (სრულყოფას) შორის (Malhotra, 1998.):

ცხრილი 1.

პარამეტრის დასახელება	*ოპტიმიზაცია*	*რეინჟინირინგი*
ცვლილებების დონე	მზარდი	რადიკალური
საწყისი წერტილი	არსებული პროცესი	„სუფთა ფურცელი“
ცვლილებების სიხშირე	უწყვეტად/ერთდროულად	ერთდროულად
საჭირო დრო	მოკლე	ხანგრძლივი
მიმართულება	ქვემოდან ზემოთ	ზემოდან ქვემოთ
მოცვა	ვიწრო, ფუნქციების დონეზე	ფართო, ფუნქციათაშორისი
რისკი	ზომიერი	მაღალი
ძირითადი საშუალება სტატისტიკური მართვა	სტატისტიკური მართვა	საინფორმაციო ტექნოლოგიები
ცვლილებების ტიპი	კულტურული	კულტურული/სტრუქტურული

ყოველ მიდგომას აქვს თავისი პლუსები და მინუსები. ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე: „რა სიჩქარით უნდა იცვლებოდეს ბიზნეს-პროცესები?“ - არ არსებობს. პასუხი ძლიერაა დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციაზე კონკრეტულ კომპანიაში.

რეინჟინირინგი საჭიროა იმ შემთხვევებში, როდესაც ბაზარზე მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- გამოჩნდა ან მალე გამოჩნდება ახალი პროდუქტი, რომელიც შეცვლის ჩვენი კომპანიის მიერ გამოშვებულ პროდუქტს (ციფრული ფოტო და „პოლაროიდი“);
- ჩვენს ეროვნულ ბაზარზე გამოდიან დასავლეთის ბანკები, რომლებიც იძლევიან კრედიტებს ერთ საათში;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასი (ან ენერგომატარებლები) და ჩვენ ვკარგავთ კონკურენტუნარიანობას (ეს ექსპორტზე მუშაობისას);

- ჩვენს ბაზარზე გამოდიან მსხვილი კომპანიები წარმოების, გაყიდვების, ლოგისტიკის და ა.შ. დამუშავებული ტექნოლოგიებით;
- კონკურენტებმა ჩაატარეს ან ატარებენ რეინჟინირინგს და, საერთოდ, რაღაცას ამზადებენ...

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია ან გაუმჯობესება საჭიროა სრულიად სხვა სიტუაციებში. როდესაც საბაბი განსაკუთრებული მღელვარებისთვის არ არსებობს, მაგრამ არსებობს მცირე ნაკლოვანებები კომპანიის საქმიანობაში: საქონელი მოდის დაგვიანებით, მოლაპარაკების მხოლოდ მეათედი ნაწილი სრულდება გაყიდვებით და ა.შ.

ბოლო წლებში გამოჩნდნენ სპეციალისტები სწორედ საქმიანობის ოპტიმიზაციის საკითხებზე: დირექტორები კომპანიის განვითარების საკითხებში, მათი ხელქვეითები და კონსულტანტები. ამ სპეციალისტებმა არა მარტო დააგროვეს ოპტიმიზაციის ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება, გააჩნიათ სპეციალური განათლება, არამედ ფლობენ ოპტიმიზაციის ტექნოლოგიებსაც.

ტექნოლოგია - ეს მოქმედებათა თანმიმდევრობაა, რომელსაც მივყავართ შედეგის გარანტირებულ მიღებამდე და შეიძლება იყოს გადაცემული სხვა ადამიანისთვის დროის მოკლე შუალედში.

90-იანი წლების დასასრულს ჩამოყალიბებულმა ბიზნესრესტრუქტურიზაციის პროცესმა აუცილებელი გახადა საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნესის მართვისა და განვითარების ხელშესაწყობად, რაც ნებისმიერი ბიზნეს-პროცესის ავტომატიზაციის იდეოლოგიას ატარებს. პრაქტიკულად, ბიზნესრესტრუქტურიზაციის პროცესმა დაუდო სათავე, კონკრეტულად ბიზნესის დარგში საინფორმაციო ტექნოლოგიების პლატფორმის შექმნას. ეს პლატფორმა მიზნად ისახავს გახადოს ბიზნესი მეტად ინტელექტუალური და ავტომატიზებული, გაადვილდეს ბიზნეს-გარემოს ადაპტაცია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის სისტემები, კორპორაციული საინფორმაციო სისტემები და ა.შ. ფაქტობრივად, ეს იდეოლოგია შემდგომში ცნობილ იქნა როგორც ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს ავტომატიზებული სისტემის

მოდელირების, დაპროექტებისა და აგების ყველა ეტაპს. თითოეული ავტომატიზებული საწარმოო პროცესი, ცვლილებებთან და განვითარებასთან ერთად საჭიროებს ამ ცვლილებების ასახვას უკვე დანერგილ ავტომატიზებულ სისტემაში. გარდა სხვა ტექნიკური დეტალებისა, მნიშვნელოვანია უკვე დანერგილი სისტემის სრული სურათის აღქმა და მისი მომავალი განვითარებისთვის თითოეული საქმიანი პროცესის დეტალური ანალიზი.

ავტომატიზებული სისტემის რეალიზებისას, საქმიანი პროცესის დეტალური პროცედურული ანალიზი ხდება განცალკევებულად. მისი მონაწილე მხარეები არიან: სისტემის ანალიტიკოსები (ექსპერტები) და ტექნიკური პერსონალი (დამპროექტებლები, პროგრამისტები). ზოგადად, სისტემის როგორც აგება, ასევე მართვა საჭიროებს ბიზნეს-პროცესების და მათში მონაწილე როლებისა და რესურსების სრულ კონტროლს და ანალიზს. ამდენად, სისტემის მოდელის შექმნა უნდა ხდებოდეს ბიზნეს-სფეროს ყველა ძირითადი მონაწილისთვის – დაწყებული ბიზნეს-ანალიტიკოსებიდან, რომლებიც ქმნიან პროცესების პირველად ესკიზებს, ტექნიკურ დამმუშავებლებისთვის, რომლებიც ნერგავენ ტექნოლოგიებს, პროცესებისა და მონაცემების დამუშავებაზე, და ბოლოს, თვით ბიზნესმენეჯერებისთვის, რომლებიც უშუალოდ მართავენ და ახორციელებენ ამ პროცესების მონიტორინგს (Open Management ..).

ჩვენ გვესმის, რომ ტოპ-მენეჯერებმა არ უნდა მოახდინონ თავიანთი ხელით პროცესების ოპტიმიზირება - ეს სპეციალისტების საქმეა. მაგრამ ხელმძღვანელებს უნდა ესმოდეთ, თუ როგორ მუშაობენ სპეციალისტები იმისათვის, რომ სწორად დაისახონ ამოცანები და მიიღონ შედეგები. ჩვენ გვსურს გაგაცნოთ ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის ტექნოლოგიების ბაზური ნაწილი. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ ტექნოლოგიების რაოდენობა გაცილებით ბევრია, ვიდრე შეიძლება მოიცავდეს ერთი ნაშრომი. მრავალი მათგანი გასაგებია მხოლოდ სპეცი-ალისტებისთვის. მოცემული ნაშრომის ამოცანა კი არის, მარტივად და გასაგები გავხადოთ ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია აროგორც ორგანიზაციის საპროცესო საქმიანობის მართვის მარტივი და ხელმისაწვდომ ხერხად.

ხშირად, მრავალ კომპანიაში ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის პროექტები მარტივი და გასაგები ტექნოლოგიის თანრიგიდან გადადიან მაღალი მატერიებისა და ხელოვნების დარგში. ეს ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კომპანიების ნაწილი თვითონ იქმნის პრობლემებს, როდესაც იწყებენ არა იმ ტექნოლოგიების გამოყენებას, არა იმ მიზნებისთვის. ასე, მაგალითად, მრავალი კომპანია ცდილობს გამოიყენოს ISO-ს სტანდარტის პოსტულატები თავიანთი საქმიანობის პროცესების ოპტიმიზაციისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ თვით ISO-ს სტანდარტი ძალზე აბსტრაქტულია, ზოგადი და ბუნდოვანი და იძლევა „ხარისხის სერტიფიკატს“ და არა საპროცესო საქმიანობის მართვის ტექნოლოგიას, ამიტომ მისი პოსტულატების გამოყენება ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციისთვის უკეთეს შემთხვევაში უსარგებლოა. მაგრამ ჩვენი კომპანიები არ ეძებენ ადვილ გზებს და მარტივ გადაწყვეტილებებს. ამიტომ უმრავლეს კომპანიაში ოპტიმიზაციის პროექტები, ჩვეულებრივ, იწყება დავით „მაღალის“ შესახებ. დაობენ ხელმძღვანელები, დაობენ მენეჯერები, დაობენ ტოპმენეჯერები. მაგრამ საქმიანობა, საქმიანობის ოპტიმალობა კონცენტრირებულია არა ზედა დონეზე - ის კონცენტრირებულია კონკრეტული შემსრულებლების დონეზე.

ბოლო პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო ფართოდ ინერგება მცირე მეწარმეობის სრულიად ინოვაციური ფორმები და მიმართულებები. ეს, პირველ რიგში, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა, რომელიც ვლინდება ერთი მხრივ, შრომის ხასიათსა და ორგანიზაციაში, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობასა და ტექნოლოგიაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებით. გასათვალისწინებელია ასევე მცირე ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი სახეობის _ საოჯახო ბიზნესის ფუნქციონირების საზღვრები და შესაძლებლობები (ბარათაშვილი და სხვ. 2011, 10).

ინფორმაციული ტექნოლოგიები

ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომხდარმა უახლესმა მიღწევებმა მათი მომხმარებლებისათვის მეწარმეთა მიმართ უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენებისა

და კონკურენციის სტიმულირების მხრივ ახალი შესაძლებლობები შექმნა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მომხმარებელთა შესაძლებლობებს, ისარგებლონ გლობალურ კომპიუტერულ ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით. ამის მაგალითია საქონლის ელექტრონულ კატალოგებთან მუშაობა, რომელიც ხელმისაწვდომია ტელეკონფერენციების რეჟიმებში, რასაც შემდგომ მოჰყვება ლოკალური ფინანსური ანალიზი და საბოლოოდ საქონლის დაკვეთა მიმწოდებლებთან, რაც ბიზნესის გლობალიზაციას მაჩვენებელია. ჯ. ჰენდერსონის მოდელი გვიჩვენებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პროცესების ურთიერთქმედებას, რომელიც ვარაუდობს, რომ:

არსებობს ურთიერთზემოქმედება ბიზნესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების პლატფორმებს შორის;

ბიზნესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურათა დაბალანსება წარმოადგენს ბიზნესის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

განვიხილოთ ბიზნეს პროცესებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ურთიერთზეგავლენის სქემა N1. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტზე ორიენტირებული კომერცია, ყველა მასში გამოყენებული ტექნოლოგიური სიახლეებითა და ინოვაციებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების უმეტესობაზე როგორც პირდაპირი გზით, ასევე მათ კონკურენტებზე, განაწილების არხებზე, საბოლოო მომხმარებლებზე, მომწოდებ-ლებსა და ბაზრის დინამიკაზე ზემოქმედების გზით. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტი მცირე კომპანიებს მთელ რიგ უპირატესობებს უქმნის.

განვიხილოთ ინტერნეტის გამოყენების რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა მცირე ბიზნესის სტრატეგიიდან გამომდინარე. პირველ რიგში, ინტერნეტმა უზარმაზარი საბაზრო შესაძლებლობები შეუქმნა ბიზნესის არსებულ თუ პოტენციურ სახეობებს. ისეთი გამოცემები, როგორიცაა Business 2.0, Industry Standart an Fast Company, თითქმის ყველა ნომერში სთავაზობენ მკითხველს ახალბედა ბიზნესის ისტორიებს, რომლებიც პროგრესირდნენ ბაზრის გარკვეულ სეგმენტში. მეორე, მცირე კომპანიებისათვის ინტერნეტის გამოყენებით ბაზარი საოცრად მარტივი და ოპერატიულად ხელმისაწვდომია. იგი უზრუნველყოფს გაყიდვების

ზრდას, რაც რამდენიმე წლის წინათ წარმოუდგენელი იყო. (ბარათაშვილი და სხვ. 2011, 16).

სქემა N 1. საწყისი პოზიცია (მდგომარეობა)



ფირმის კონკურენტუნარიანობის შიდა ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი როლი ტექნოლოგიურ ფაქტორებს განეკუთვნება. ტექნოლოგიის კონკურენტუნა-რიანობა სამეწარმეო ფირმის კონკურენტუნარიანობასთან მიმართებაში ძირითად კატეგორიას წარმოადგენს. ის ბევრადაა დამოკიდებული წარმოებისა და სამუშაო ძალების ურთიერთზემოქმედების საშუალებათა კონკურენტულ შესაძლებლობებზე, აგრეთვე, დამოკიდებულია გარე ფაქტორებზეც: ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებზე, ინოვაციური ბაზრის განვითარებაზე, მეცნიერების განვითარებაზე (ბარათაშვილი და სხვ. 2011, 46).

პრაქტიკულად ყველა სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გამო მსოფლიოში შეიმჩნევა კომპანიების გაზრდილი ინტერესი პროგრამული პროდუქტების მიმართ, რომლებიც ხელმძღვანელებსა და ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევს, დაამუშაონ სააღრიცხვო სისტემებსა და მონაცემთა საცავებში არსებული დიდი მოცულობის ინფორმაცია და შედეგად მოიპოვონ სასარგებლო ცნობები [1]. დღეს უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში აღმოცენებულ მიმართულებაზე - Business Intelligence (BI), რომლის დასა-ხელების ქართულ შესატყვისად დამკვიდრდა ბიზნეს–ანალიზის სისტემები. არც ერთ სააღრიცხვო სისტემას, რაც არ უნდა უნივერსალური იყოს, არ ძალუძს, დააკმაყოფილოს ბიზნესის ყველა მოთხოვნა. ბიზნეს–პროცესებში გამოყენებული მონაცემების საკმაოდ დიდი მოცულობა საჭიროებს ახალ-ახალი შრომითი

რესურსების მოზიდვას (IT-სპეციალისტები, ანალიტიკოსები და ა.შ.), რომლებმაც უნდა განახორციელონ კომპანიის კონკურენტული გარემოსა და ხელმძღვანელებისათვის ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო მასალების მომზადება. ინფორმაცია ბიზნესის მართვის უმნიშვნელოვანეს ელემენტად იქცა. აქედან გამომდინარე, საწარმოს უნარი, უზუნველყოს თავისი მენეჯერები ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო რესურსებით, კომპანიის კონკურენტუნარიანობის უპირატესობების მაჩვენებელი ხდება.

მონაცემთა ოპერატიული ანალიზი, მოდელირება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური და ტერიტორიული ინდიკატორების პროგნოზირება არანაკლებ აქტუალურია სახელმწიფო სექტორშიც. ბიზნეს–ანალიზის სისტემა (BI) – წარმოადგენს ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის საჭირო დროს მიღებას. სისტემა ამას ახორციელებს ფაქტობრივი საწყისი მონაცემების გარდაქმნის, შენახვის, ანალიზისა და მოდელირების გზით, ხოლო შემდეგ შედეგები გამოიყენება კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელი გადაწყვეტილების მისაღებად. BI–სისტემები, სააღრიცხვო სისტემებისაგან განსხვავებით, ადაპტირებადია ბიზნესთან და ახდენს მის სტრუქტურირებას. ბიზნეს–ანალიზის სისტემების საშუალებით შესაძლებელია, შეიქმნას ერთიანი მონაცემთა საცავი, სადაც ხდება სხვადასხვა ადგილებში გაფანტული ინფორმაციის თავმოყრა, შემდგომში კი - მათი გაანალიზება და ანგარიშების აგება. შედეგად კი BI–სისტემების მომხმარებელი იღებს საწარმოს საქმიანობის სრულ სურათს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, უმოკლეს დროში მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება. BI–სისტემების განვითარება დაკავშირებულია პროგნოზირებადი ანალიზის გაზრდილ მოთხოვნებთან, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის, პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციის ამოცანებთან (სურ. N1).

ბიზნეს–ანალიზის სისტემები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ კლასებად:

- მონაცემთა საცავების სისტემები (Data Warehousing);
- ოპერატიული ანალიზის სისტემები (OLAP);
- მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის სისტემები (Data Mining);

*მონაცემთა საცავები (*Data Warehouse) (Watson Hugh J. Barbara H. Wixom and Dale L. Goodhue. 2004.) წარმოადგენს სპეციალიზებულ კორპორაციულ მონაცემთა ბაზას, რომლის დანიშნულებაა, ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მიზნით მოხდეს ბიზნეს–პროცესების ანალიზი და მომზადდეს საჭირო ანგარიშები. მონაცემთა საცავების აგება ხდება კლიენტ–სერვერული არქიტექტურით, მონაცემთა რელაციური მართვის სისტემებით და გადაწყვეტილების მიღების უზრუნველმყოფი დამხმარე უტილიტებით. მონაცემთა საცავებში განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ინფორმაციის წასაკითხად. მონაცემთა საცავში ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციისათვის განკუთვნილი ოპერატიული სისტემებიდან (OLTP - Online Transaction Processing) მონაცემები შემოდის ისეთი სახით, რომ ანგარიშების აგება და მონაცემების ანალიზი არ იყენებს OLTP-სისტემების საწარმოო რესურსებს, რათა არ დაირღვეს სისტემის სტაბილურობა. გარდა ამისა, საცავი შეიძლება ივსებოდეს შიდა წყაროების, მაგალითად სტატისტიკური ანგარიშების ხარჯზე.

სურ.N1. ბიზნეს ეფექტურობის დამოკიდებულება ინტელექტუალური ანალიზის ხარისხთან



მონაცემთა საცავში ინფორმაციის ჩატვირთვა ხდება გარკვეული პერიოდულობით, ამიტომ მასში არსებული მონაცემების აქტუალობა გარკვეულწილად ჩამორჩება OLTP-სისტემისას.

მონაცემთა საცავების ორგანიზების ძირითადი პრინციპებია:

- *საგნობრივ–პრობლემური ორიენტაცია.* მონაცემები ერთიანდება კატეგორიებად და მათი შენახვა ხდება იმ არეში, რომელსაც ისინი აღწერენ და არა იმ პროგრამებში, რომლებიც მათ იყენებენ.
- *ინტეგრირება.* მონაცემები ისეა გაერთიანებული, რომ მათ დააკმაყოფილონ საწარმოს და არა ბიზნესის ცალკეული ფუნქციების მოთხოვნები.
- *კორექტირების შეუძლებლობა.* მონაცემების შექმნა არ ხდება მონაცემთა საცავებში, ანუ ისინი მას მიეწოდება გარე წყაროებიდან. მონაცემთა საცავში შეუძლებელია მათი კორექტირება და ასევე მათი წაშლა.

- *დროზე დამოკიდებულება.* მონაცემები საცავში ზუსტი და კორექტულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიკუთვნებულია დროის გარკვეულ შუალედთან ან მომენტთან.

OLAP (online analytical processing) ტექნოლოგია წარმოადგენს დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავების შესაძლებლობას, რომელიც ასევე მოიცავს ანგარიშებისა და დოკუმენტების ფორმირების და დინამიურად გამოქვეყნების შესაძლებლობებს. ეს ტექნოლოგია გამოიყენება ანალიტიკოსების მიერ მონაცემთა ბაზებში რთული მოთხოვნების სწრაფად დამუშავებისათვის. მაგალითად, გაყიდვების, მარკეტინგის მმართველობითი ბიზნეს–ანგარიშების მოსამზადებლად.

OLAP-ტექნოლოგიის გამოყენების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მოთხოვნების დამუშავების სისწრაფე. რელაციურ მონაცემთა ბაზებში ცნებები ინახება ცალკეულ ცხრილებში, რომლებიც, როგორც წესი, კარგად არის ნორმალიზებული. ასეთი სტრუქტურის გამოყენება მოსახერხებელია ოპერატიულ მონაცემთა სისტემებისთვის, ხოლო რთული მრავალცხრილიანი მოთხოვნების დამუშავება მათში მიმდინარეობს გაცილებით ნელა.

OLAP-ი ქმნის რელაციურ მონაცემთა ბაზის მომენტალურ სურათს და ახდენს მოთხოვნების სივრცული მოდელის სტრუქტურირებას. OLAP-ტექნოლოგიის გამოყენებისას მოთხოვნაზე დახარჯული დრო რელაციურ მონაცემთა ბაზებში ანალოგიური მოთხოვნისათვის საჭირო დროის 0.1% წარმოადგენს.

მუშა მონაცემებიდან შექმნილ OLAP-სტრუქტურას უწოდებენ OLAP-კუბს. კუბები იქმნება ცხრილების შეერთებით „ვარსკვლავის“ ან „ფიფქის“ სქემის სახით. ვარსკვლავური სქემის ცენტრში იმყოფება ფაქტების ცხრილი, რომელიც შეიცავს საკვანძო ფაქტებს და რომლის მიხედვითაც ხდება ძებნა (მოთხოვნების ფორმირება). მრავალგანზომილებიანი ცხრილები მიერთებულია ფაქტების ცხრილთან. ეს ცხრილები გვიჩვენებს, როგორ უნდა მოხდეს აგრეგირებული რელაციური მონაცემების ანალიზი. შესაძლო აგრეგირებების რაოდენობა დამოკიდებულია საწყისი მონაცემების შესაძლო იერარქიული წარმოდგენების რაოდენობაზე.

მაგალითად, ყველა კლიენტი შეიძლება დაჯგუფებულ იქნას ქალაქების ან ქვეყნის რეგიონების მიხედვით. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის 3 ქვეყანა, 12 რეგიონი და 30 ქალაქი შეიძლება აისახოს 45 წევრისაგან შემდგარი სამდონიანი იერარქიით. ასევე კლიენტები შეიძლება დაჯგუფდეს პროდუქციასთან მიმართებაში. თუ არსებობს 2 კატეგორიის 250 პროდუქტი, პროდუქციის 3 ჯგუფი და 3 მწარმოებელი საწარმო, მაშინ აგრეგირებების შესაძლო რაოდენობა იქნება 16560. სქემაში განზომილების დამატებით შესაძლო ვარიანტების რაოდენობა სწრაფად იზრდება და შეიძლება მიაღწიოს ათეულობით მილიონს და მეტს.

მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი (Data Mining) (Давыденко В. 2007. 20-317) – წარმოადგენს საწყის (დაუმუშავებელ) მონაცემებში აქამდე უცნობი, არატრივიალური, პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნის აღმოჩენის და ინტერპრეტაციის პროცესს, რომელიც საჭიროა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გადაწყვეტილების მისაღებად. ძიების ეს პროცესი შეიძლება დავყოთ კლასიფიკაციის, მოდელირების, პროგნოზირებისა და სხვა ამოცანებად.

არსებობს Data Mining–ის სტატისტიკური (დესკრიპციული ანალიზი, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, ფაქტორული ანალიზი, დისპერსიული ანალიზი და სხვა) და კიბერნეტიკული (ხელოვნური ნეირონული ქსელები, გენეტიკური ალგორითმები, არაცხადი ლოგიკა, გადაწყვეტილებათა მიღების ხეები, ექსპერტული ცოდნის სისტემები და სხვა) მეთოდები.

Data Mining–ის სისტემებში მაღალ დონეზეა განვითარებული ვიზუალური ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა, საგნობრივმა სპეციალისტებმა მოახდინონ მონაცემთა ანალიზი ისე, რომ არ გამოიყენონ რთული მათემატიკური აპარატი.

ინტელექტუალური ანალიზის სისტემებით შესაძლებელია შემდეგი ტიპის ამოცანების გადაწყვეტა:

- კლასიფიკაცია – საწყისი ვექტორის (ობიექტი, ხდომილება) წინასწარ განსაზღვრული რომელიმე კლასისათვის მიკუთვნება;
- კლასტერიზაცია – შესავალი ვექტორის სიმრავლეების დაყოფა ჯგუფებად - კლასტერებად, მსგავსების ხარისხის მიხედვით;

- აღწერის ლაკონურობა – მონაცემთა ვიზუალიზაცია, მოდელების ლაკონურობა, დაგროვილი და შენახული ინფორმაციის მოცულობის შეკუმშვა;
- ასოციაცია – განმეორებადი მიმართებების მოძებნა. მაგალითად, „განმეორებადი კავშირები სამომხმარებლო კალათაში“ – კომპიუტერის ყიდვისას მომხმარებელი უკავშირდება ინტერნეტ–პროვაიდერს.
- გადახრების ანალიზი – მაგალითად, ქსელის არატიპიური აქტივობის აღმოჩენა საშუალებას იძლევა, აღმოვაჩინოთ დამაზიანებელი პროგრამა (ვირუსი);
- პროგნოზირება;
- ვიზუალიზაცია;

Data Mining–ით შესაძლებელია სხვა ტიპის ამოცანების გადაწყვეტაც, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ის გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილი პირველი სამი ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად.

ამრიგად, თანამედროვე სიტუაცია, რომელიც ხასიათდება კონკურენციის ზრდითა და ეკონომიკური არასტაბილურობის მაღალი დონით, გადაწყვეტილებების მიღების ხარისხისადმი ახალ მოთხოვნებს აყენებს. ამ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბიზნესის წარმოების ყველა ასპექტი, ისინი უნდა ეფუძნებოდეს სანდო ინფორმაციას და მიღებული იქნეს უმოკლეს ვადებში. ამიტომ, როგორც ბიზნეს, ასევე სახელმწიფო კომპანიებში თანამედროვე ბიზნეს-ანალიზის სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა საგრძნობლად გაზრდის გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობას და შესაბამისად, აამაღლებს საწარმოს კონკურენტუნარიანობას.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო თვალსაჩინო გაგვეხადა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, რამდენად ინერგება და გამოიყენება ტექნოლოგიები საქმიანობის პროცესში, ხოლო ამოცანად დავისახეთ გაგვერკვია, რა კავშირშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკური სარგებლის ზრდასთან.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის, კერძოდ კი ჩაღრმავებული ინტერვიუს გამოყენებით.

ზემოაღნიშნული ტიპი შერჩეულ იქნა, რათა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით ვრცლად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოგვეკვლია საკითხი.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა რეგისტრირებულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან.

რესპოდენტებთან პრეინტერვიუს სახით დამყარდა პირველადი კონტაქტი, კერძოდ: სატელეფონო ზარის და მიმოწერის საფუძველზე შერჩეულ რესპოდენტებს ავუხსენით კვლევის არსი, მათი რესპოდენტად არჩევის მიზეზი და დაგეგმილი შეხვედრისას მოვახდინეთ მათთან საკვლევ თემაზე დეტალური საუბარი.

რესპოდენტებთან პირისპირი ინტერვიუს სახით გამოყენებულ იქნა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ, რაც გულისმობს როგორც წინასწარ შედგენილ ძირითად კითხვებზე, ასევე ინტერვიუს პროცესში წამოჭრილ საკითხებზე

ინფორმაციის მიღებას და შედეგად პირველად მონაცემებზე დაყრდნობით საერთო ხასიათის დასკვნის გაკეთებას.

ძირითადი კითხვები იყო სტრუქტურულად დალაგებული და ეხებოდა მათ ბიზნეს საქმიანობას, წარმოების პროცესებში დანერგილ ტექნოლოგიებს და ამ საქმიანობიდან მიღებული შედეგების ასახვას. ვეცადეთ გაგვერკვია, თუ რა როლი უჭირავს მცირე და საშუალო ბიზნეს პროცესებში ამა თუ იმ ტექნოლოგიას და როგორ აისახება, რა შედეგის მომცემია იგი, ჯერ ორგანიზაციის ხოლო შემდგომში სახელმწიფოსათვის, კონკრეტულად კი ეკონომიკური მიმართულებით.

თუმცა ინტერვიუს დროს რესპოდენტების მიერ არაერთი საინტერესო დეტალი დასახელდა, რის გამოც წინასწარ განსაზღვრულ ძირითად კითხვებთან ერთად დაისვა დამატებითი კითხვებიც.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა: 7 რესპოდენტი , მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი. გამოკითხულთა ასაკობრივი ზღვარია 23 წლიდან 60 წლამდე. ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 30-70 წუთს. ინტერვიუები ჩატარდა 2019 წლის მაისში.

ძირითადი მიგნებები

თვალსაჩინოა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრესი ნებისმიერი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის განუზომელი მნიშვნელობისაა.

ბიზნეს პროცესების სტრუქტურირებული და შედეგებზე ორიენტირებული სამუშაოებისათვის თანამედროვე ბიზნეს გარემოში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებაც ორგანიზაციას ხელს უწყობს საქმიანობის დადებითად წარმართვაში, რაც, საბოლოო ჯამში, ასევე დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაზეც.

ქართული ბიზნეს სექტორი დიდი გამოწვევის წინაშე დგას. მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროპასთან ინტეგრაციის თემა წინა პლანზე წამოწია,

პრიორიტეტული გახდა სამეწარმეო სექტორში გლობალური სტანდარტების დაკმაყოფილება.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა მცირე და საშუალო ბიზნესის გასავითარებლად, საქართველოში ბიზნესის ეს კონკრეტული სეგმენტი ინერტულობით გამოირჩევა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შეფერხება ამძაფრებს დასაქმების პრობლემებს და აფერხებს ეფექტური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგები

ინტერვიუებიდან მიღებულმა ინფორმაციამ შეგვიქმნა ზოგადი შთაბეჭდილება ქართულ ბაზარზე არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობაზე.

თითოეული გამოკითხული ბიზნესის წარმომადგენელი საკუთარ საქმიანობაში იყენებს არაერთ ტექნოლოგიას. რესპოდენტებმა საკუთარი საქმიანობის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად სწორედ ზემოაღნიშნული დაასახელეს. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები, მიუხედავად მისი გარკვეული დანახარჯებისა, დადებითად აისახება მათ საქმიანობაზე, კერძოდ:

- ზოგავს სამუშაო დროს, შესაძლებელია რამდენიმე სამუშაო პროცესის ერთდროულად წარმართვა, რაც ამარტივებს საქმიანობას, ხდის მას გეგმიურს და ბიზნესს საშუალებას აძლევს დაისახოს შემდგომი განვითარების ამოცანები.
- ხდება არსებული რესურსების ოპტიმალურად ათვისება, რაც ამცირებს ბიზნესში გაწეულ ხარჯებს, შეცდომებს და მოითხოვს ნაკლებ ბიუროკრატიას. მცირე დრო და ფინანსური დანახარჯები კი არსებულ ბიზნესს განვითარებისკენ უბიძგებს.

რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ მათი ბიზნესის ორგანულ ნაწილს სწორედ ტექნოლოგიური ფაქტორები წარმოადგენენ და მათი საქმე წარმოუდგენლად მიაჩნიათ კონკრეტული ტექნოლოგიების გარეშე. დაგვისახელეს უშუალოდ კომპანიებში გამოყენებული ტექნოლოგიები: პროგრამული უზრუნველყოფები; რაოდენობრივი და გრაფიკული მახასიათებლებით ; მანქანა-დანადგარები, რაც უმოკლეს დროში ითვისებს პიროვნების მიერ შესასრულებელ სამუშაოს და უმეტესწილად წინასწარ არის გათვლილი მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და დრო; საკომუნიკაციო საშუალებები, რითიც ახდენენ თანამშრომლები შიდა ორგანიზაციული პროცესების წარმართვას; აპლიკაციები, საიდანაც ხდება პროდუქციის შეძენა და ვირტუალური ვაჭრობა-მომსახურება; სოციალური ქსელები,

ინტერნეტ ვებ გვერდები, რომელიც ხელს უწყობს მათ ბიზნესს ელექტრონული კომერციის წარმოებაში. თუმცა უმეტესი მათგანი აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა თანმხვედრი უნდა იყოს თანამედროვე ბიზნეს პროცესებისა, ამიტომ მათივე თქმით, მუდმივად აქვთ შეხება ისეთ პროცესებთან, რაც უკავშირდება დამატებითი სახსრების მოძიებას, მაგალითად როგორიც არის სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, ასევე საბანკო ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული კრედიტები.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა უმეტესმა ნაწილმა საკუთარ საქმიანობაში დაასახელა კვალიფიციური მუშა-ხელის სიმწირე, ვინც მოკლე დროში შეძლებს ამა თუ იმ ტექნოლოგიის პრაქტიკაში გამოყენებას. რამდენიმე მათგანმა აგვიხსნა, რომ ამ პრობლემის გამო უწევს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი დახმარების შემდგომ, სასურველი ტექნოლოგიის დანერგვა, რაც ზრდის როგორც მისი შეძენა-ქირავნობის ასევე მოხმარების დანახარჯებს. თუმცა თითოეული გამოკითხული აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე და თანამედროვე მსოფლიოში საქმე მათ გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნული მათთვის აღიქმება სამომავლო განვითარების პერსპექტივად.

გარდა ტექნოლოგიებისა, რესპოდენტების მიერ აქცენტი გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ბაზრის სიმცირე;
- ვალუტის ცვლილება;
- საგადასახადო გარემო;
- კვალიფიციური მუშა-ხელი;
- ფინანსების სიმწირე.

ჩვენ გვინდოდა ტექნოლოგიურ ჩართულობასა და ეკონომიკურ სარგებელს შორის გაგვევლო პარალელი და ასევე შეგვეფასებინა ზოგადი ბიზნეს გარემო, ამიტომ ძირითადი კითხვების გარდა, რაც ეხებოდა ტექნოლოგიებს მცირე და

საშუალო ბიზნესში, რომელიც დადებითად დახასიათდა, მივიღეთ ინფორმაცია, სადაც გამოიკვეთა მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული პრობლემები.

ინტერვიუს მსვლელობისას ხაზი გაესვა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში არსებულ არაერთ პრობლემასა თუ ხელშეწყობის პრაქტიკული ასპექტებს, როგორიცაა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები.

გამოკითხულთა უმრავლესობა საკუთარი ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორად საბანკო რეგულაციებსა და ვალუტის ცვლილებასაც ასახელებს. მათი თქმით მუდმივად მოსაძიებელი ფინანსური სახსრები არასასურველ რაოდენობრივ მაჩვენებელში, აფერხებს მათი ბიზნესის განვითარებას. რესპოდენტებმა საბანკო პრობლემად დაასახელეს მაღალი საპროცენტო განაკვეთი და კრედიტის მიღების ფორმალური მხარე, რაც ართულებს პროცესს და უბიძგებს მათ მიმართონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც სესხებს გასცემენ შედარებით მარტივად, მაგრამ მაღალ პროცენტში.

რაც შეეხება ვალუტის ცვლილებას, რამდენიმე მათგანმა მათი ბიზნესის უწყვეტობისათვის მუდმივად საბრუნავი ეროვნული და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია დაგვისახელა და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ხაზი გაუსვა კურსთაშორისი სხვაობის დანაკარგების შედეგს. ამ მიმართულებით რესპოდენტები თვლიან, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელის შესაწყობად სახელმწიფომ უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები. იყოს ინიციატორი ბიზნესის ხელისშემყობი დაბალპოცენტიანი კრედიტებისა, ვალუტის დასტაბილურებისა და გამარტივებული საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებისა. მათი თქმით, ბიზნესში გაწეული დანახარჯები, რაც უკავშირდება ბიუჯეტში გადასარიცხ თანებს, არანაკლებ საყურადღებოა და მათი ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ ხელის შემწყობ ფაქტორად სწორედ მათი სიმცირე მოიაზრეს.

თითოეული რესპოდენტი ერთხმად აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება არა მხოლოდ საზრუნავია მათი პირადი, საკუთარი საქმიანობისა არამედ სახელმწიფოს დადებითად წაადგება ეკონომიკური მიმართულებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, ტრადიციულად კავშირშია მთლიანი შიდა პროდუქტის ცნებასთან და განიხილება ქვეყანაში საწარმოო შესაძლებლობების წლიდან წლამდე ზრდის მაჩვენებლით.

სამაგისტრო ნაშრომში მოძიებული მასალისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ ,რომ ტექნოლოგიების დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესში, საქმიანობის განვითარების საწინდარია, იგი ეტაპობრივად ზრდის საწარმოო მაჩვენებელს, რაც თავისთავად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად. საწარმოო შესაძლებლობების გაზრდა პარალელურად ზრდის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს, რაც უშუალო კავშირშია უმუშევრობის დონესთან და ასევე ზომავს სახელმწიფოში სიღარიბის მასშტაბებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარებას ბუნებრივი და შრომითი რესურსების გარდა, ძირითადი კაპიტალის მოცულობა და ტექნოლოგია უწყობს ხელს. ნაშრომში წარმოდგენილი მეორადი თეორიული მასალა და კვლევის შედეგად მიღებული პირველადი ინფორმაცია აშკარას ხდის მოსაზრებას, რომ ტექნოლოგიებს ბიზნესის განვითარებაში განუზომელი წვლილი უჭირავს.

ტექნოლოგიები დღეისათვის თითქმის ყველა მიმართულებით გამოიყენება. იგი განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მცირე და საშუალო ბიზნესში დანერგვისას, რადგან ცვლის საქმიანობის განვითარების მასშტაბებს. იგი არის საშუალება რომლის მეშვეობითაც გარდაიქმნება ამოსავალი მასალები საჭირო საქონლად და მომსახურებად. ტექნოლოგიების დანერგვას მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, დანახარჯების შემცირებასა და არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობასთან.

თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მიღებულ უარყოფით შედეგსაც. ავტომატიზაცია, ანუ ბიზნესში მუშახელის ჩანაცვლება ტექნოლოგიით პირდაპირ აისახება უმუშევრობის ზრდის მაჩვენებელზე. უმუშევრობა კი უშუალო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესთან. როგორც აღვნიშნეთ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ზომავენ, მაგრამ აგრეთვე აღსანიშნავია, რომ როგორი მაღალი მაჩვენებელიც არ უნდა ჰქონდეს მთლიან შიდა პროდუქტს, პარალელურად შესაძლოა არსებობდეს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელიც, ამის გამოწვევის ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ რომ ტექნოლოგიებით ჩანაცვლებაა სამუშაო მუშა ხელისა. იმისათვის რომ უმუშევრობის ფართო მასშტაბებმა არ შეამციროს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, ტექნოლოგიების სწორად შერჩევა და მისი სწორად გამოყენებაა აუცილებელი.

მოაზროვნე მანქანები, რომლებსაც გააჩნიათ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებები ასრულებენ მუშახელის მოვალეობებს ნაკლები დროითი დანახარჯებით და ამცირებენ სამუშაო პროცესში დაშვებულ შეცდომათა რაოდენობას. მიუხედავად ტექნოლოგიების დანერგვის ნაწილობრივ უარყოფითი დამოკიდებულებისა, ისინი არიან პირდაპირ კავშირში ახალი სამუშაო ადგილის გაჩენასთან. მაგალითად, ტექნოლოგიის დანერგვა ბიზნესში ნიშნავს ახალი ვაკანტური ადგილის არსებობას, სადაც პიროვნება იმუშავებს საწარმოში სწორედ ტექნოლოგიის დახმარებით. ადამიანები ამ დროს თავისუფლდებიან ფიზიკური და გონებრივი დატვირთვისაგან რაც მათ უბიძგებთ მასობრივად ჩაერთონ შემოქმედებით სფეროში, როგორიცაა : თეატრი, სპორტი, ხელოვნება, მუსიკა და სხვა. მაშასადამე იზრდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე კი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან.

რაც შეეხება კონკრეტულ რიცხვებს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. საანგარიშო პერიოდში (2014-2018) მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება იზრდება შესაბამისად - 29.2-დან 41.4 მილიარდ ლარამდე. ამავდროულად უმუშევრობის დონე 2012-2018 წლებში 17.2-დან 12.7 პროცენტამდე მცირდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ეკონომიკური პროგრესი მხოლოდ ბიზნეს-პროცესებში ტექნოლოგიების დანერგვით არ განისაზღვრება და მასზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ჩატარებული კვლევის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ თითოეული ბიზნესში ტექნოლოგიური სიახლის დანერგვის შემდეგ საქმიანობა მეტად დაიხვეწა, გახდა უფრო მრავალფეროვანი და, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, გამარტივებულმა პროცესებმა უბიძგა მათ საკუთარი საქმიანობის მეტად განვითარებისკენ.

ქართულ ბაზარზე მცირე და საშუალო ბიზნესი დიდი რიცხოვნობით ხასიათდება, რომელთა განვითარებაც ჯაჭვურ კავშირშია ტექნოლოგიების დანერგვასთან, ხოლო მათი მწარმოებლურობის ზრდა დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობაზე.

ქართულ ბაზარზე კომპანიების უმეტეს ნაწილს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს. ქვეყანაში წარმოდგენილი 237 580 კომპანიიდან 228 226 მცირე, 9263 საშუალო და 91 მსხვილი გადამხდელია, თუმცა თუ შევხედავთ მათ ბრუნვებს, 2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით სრული 25786,7 მლნ ლარიდან უდიდესი ნაწილი - 13 306,6 მლნ ლარი მსხვილ ბიზნესზე მოდის, ხოლო მცირე (ბრუნვა 5085,1 მლნ ლარი) და საშუალო (7395 მლნ ლარი) ზომის კომპანიების ბრუნვა, მათი რაოდენობის მიუხედავად საკმაოდ მცირეა.

როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი ეკონომიკა. მსოფლიო მასშტაბით კი კონკურენტუნარიანი, ანგარიშგასაწევი ეკონომიკის შექმნა არც ისე მარტივია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა. მემკვიდრეობით ჩვენმა სახელმწიფომ საბჭოთა მენტალიტეტი და ისეთი ეკონომიკა მიიღო სადაც ბაზრის წესებს კარნახობდნენ და კერძო სექტორი არ არსებობს. ამ მანკიერ მიდგომას და ეკონომიკის კერძო საქმიანობით შენებას ჩვენი ქვეყანა დღემდე სწავლობს და დღემდე გარდამავალ პერიოდშია.

ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება კი საქართველოს ცოდნაზე, ტექნოლოგიებზე და განვითარებაზე ორიენტირებით შეუძლია. ამ სექტორებში ჩადებული თითოეული ლარი, როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფოს მხრიდან, პირდაპირპროპორციულად აისახება საერთო კეთილდღეობაზე.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს და მათ ჩართულობას ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც აღვნიშნეთ, კერძო სექტორის დიდ ნაწილს სწორედ ისინი წარმოადგენენ, თუმცა ეკონომიკური განვითარების არასათანადო მდგომარეობით.

ტექნოლოგია, როგორც ცოდნისა და გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს განვითარებაში. ამიტომ საჭიროა თითოეულ მეწარმემდე მივიდეს ინფორმაცია საჭირო და რიგ შემთხვევებში აუცილებელი გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც განავითარებს ბიზნესს და საშუალებას მიცემს მათ კონკურენცია გაუწიონ დიდ მოთამაშეებს.

სწორედ რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე მეტ თანადგომას და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული სათანადო ნაბიჯებისა და კომპანიების მხრიდან ბიზნეს პროცესების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება მცირე კომპანიების საშუალოდ, ხოლო საშუალოს - მსხვილ ბიზნესად გარდაქმნა. ამასთან, შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი, დაინერგება ახალი ტექნოლოგიები და გაიზრდება მოთხოვნა ახალ სპეციალობებზე. შედეგად კი სახეზე გვექნება ძლიერი ბიზნესსექტორი და ქვეყანას შესაძლებლობა ექნება მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს შორის ღირსეული ადგილი დაიკავოს.

რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევებისა და მოპოვებული მეორადი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესში ტექნოლოგიების დანერგვის სარგებლიანობასა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თაობაზე.

ბიზნეს სექტორის განვითარება დაყოფილია ორ ეტაპად, ბიზნესის ჩამოყალიბება და ბიზნესის განვითარება. პირველ ეტაპზე, ბიზნესის წამოწყებისას სახელმწიფოს მხრიდან უმნიშვნელოვანესია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მათ მიერვე წამოჭრილი პრობლემების დროული მოგვარება. შემდგომში კი, როდესაც უკვე ორგანიზაციის განვითარების საკითხი დგება დღის წესრიგში,

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საქმიანობის განვითარებისათვის რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიური სიახლის შეტანა სჭირდებათ საკუთარ საქმიანობაში.

სამეწარმეო კულტურას ინოვაციები და ტექნოლოგიების მატება ამაღლებს, ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეულ ბიზნესში დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც დაზოგავს დროსა და დანახარჯებს. ჩატარებული კვლევის შედეგად არაერთ საინტერესო პრაქტიკულ მაგალითს გავეცანით, სწორედ მათგან გამომდინარე ჩამოგვიყალიბდა მოსაზრება, რომ თითოეულ საქმიანობაში ტექნოლოგიებს, თუნდაც მცირე დოზით, დიდი სარგებელი მოაქვს როგორც ორგანიზაციისათვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვის, თუმცა ტექნოლოგიური ცნობიერება და ტექნოლოგიური სიახლე არც თუ ისე მარტივად ხელმისაწვდომია.

აღნიშნულის დარეგულირებისათვის, ბიზნესმენთა ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გარზდის მიზნით, საჭიროა ჩატარდეს საინფორმაციო და სასწავლო სახის სემინარები და ტრენინგები, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს და მსგავსი ტიპის შეხვედრაზე თვალსაჩინო იქნება ამა თუ იმ ტექნოლოგიური სიახლის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა.

აგრეთვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მეტი ხელშეწყობა როგორც ფინანსური, ასევე ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის კუთხით. მაგალითად, კარგი იქნება სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსდეს კონკრეტული ტექნოლოგიის დანერგვა ორგანიზაციებში, მოხდეს ბიზნესის ინფორმირება ბაზარზე შემოსულ თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ასევე ხელი შეეწყოს კავშირებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და ტექნოლოგიების მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის. აუცილებელია მეწარმეთა და დასაქმებულთა ტექნოლოგიური დატრენინგება / გადამზადების ხელმისაწვდომი კურსების რეგულარული ჩატარება.

დღესდღეისობით მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნდამენტალური ფორმირებისათვის საკმაოდ ბევრი პრობლემაა დასაძლევი, თუმცა ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება განავითარებს ბიზნესს, რაც

ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას, დასაქმების დონის მატებას, პროდქციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას.

ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე რამაზ და ეთერ კაკულია. 2008. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა,
2. ბარათაშვილი ევგენი, გურამ ჯოლია, ნოდარ გრძელიშვილი და სხვ. 2011. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, წიგნი I. თბილისი
3. ბარათაშვილი ევგენი, ლარისა თაკალაძე, ნოდარ გრძელიშვილი. 2010. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბილისი
4. ბარათაშვილი ევგენი, ნიკო ბაკაშვილი, ნინო ფარესაშვილი, ბადრი გეჩბაია, დარეჯან მესხიშვილი. 2011. თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები სახელმძღვანელო. თბილისი: უნივერსალი
5. გოგიაშვილი ოთარ. 2013. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. დისერტაცია. ქუთაისი
6. დემეტრაძე ნინო. 2012. ბიზნეს გარემო საქართველოში. “ეკონომისტი”, N4,
7. ვაშაკიძე თამაზ. 2010. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევრო-კავშირში, წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგ-რაცია. რედაქტორები: ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. თბილისი: ეგსიგ
8. ცირამუა ედუარდ. 2005. ბუღალტრული აღრიცხვა საშუალო და მცირე წარმოებაში : ფირმა. ბიზნესი. სამეურნეო სუბიექტი, თბილისი: სიახლე
9. იაკობიძე დავით. 2010. საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

10. კერძო სექტორი და განვითარება. 2010. სადისკუსიო წერილების სერია. თბილისი: გაეროს განვითარების პროგრამა
11. მაკაროვი შ., ირინა ნაცვლიშვილი. 2010. მცირე ბიზნესის მართვა, თბილისი: ტექნ. უნ-ტი
12. მექვაბიშვილი ელგუჯა. 2009. გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №4
13. მცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში. May 2, 2006. საქართველოს პარლამენტის აპარატი კვლევითი დეპარტამენტი http://www.parliament.ge/files/437_1262_228785_437_1262_702572_mcirebiznesi[1].pdf (ბოლოს გადამოწმებულია.06.05.2019)
14. როგორ დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი. 2007., ილუსტრირებული გზამკვლევი : მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი. თბილისი: საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატა
15. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. 2009. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
16. როსტიაშვილი თ. 2013. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. დისერტაცია, ქუთაისი, http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_gogiashvili.pdf
17. ცეცხლაძე ლეილა. 2012. მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამედროვე საბაზრო სისტემაში. დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმი
18. ცეცხლაძე ლეილა. 2010. მცირე ბიზნსის დაფინანსების პრობლემები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები I. თბილისი: უნივერსალი
19. Aalst Wil van der, Kees van Hee. 2002. Workflow management: models, methods, and systems. MIT Press. http://wwwis.win.tue.nl/~wvdaalst/publications/p120.pdf
20. Malhotra, Yogesh. 1998. "Business Process Redesign: An Overview," *IEEE Engineering Management Review*, vol. 26, no. 3, Fall. http://www.brint.com/papers/bpr.htm (გადამოწმებულია 06.05.2019)

21. Open Management Group, Business Process Management Initiative: Business Process Modeling Notation (BPMN). https://www.omg.org/bpmn/Documents/BPMN_V1-0_May_3_2004.pdf (გადამოწმებულია 05.05.2019)
22. Watson Hugh J. Barbara H. Wixom and Dale L. Goodhue. 2004. Data Warehousing: The 3M Experience. Organizational Data Mining: Leveraging Enterprise Data Resources for Optimal Performance, H.R. Nemati, C.D. Barko, eds., Idea Group Publishing
23. Гордеев Михаил, Андрей Борисов, Наталья Коршак. Технология оптимизации бизнес-процессов. Корпоративный менеджмент, https://www.cfin.ru. Адрес документа: https://www.cfin.ru/itm/bpr/optimization_technology.shtml განახლებულია: 23.10.2018 (გადამოწმებულია 06.05.2019)
24. Давыденко В. 2007. Data Mining – интеллектуальный анализ данных, Программные продукты и системы. — № 3(79).
25. Деминг Эдвардс. 2009. Выход из кризиса. Новая парадигма управления людьми, системами и процессами / пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс
26. Репин Владимир. 2011. Бизнес-процессы компании: построение, анализ, регламентация. М.: РИА Стандарты и качество
27. Харрингтон Джеймс. 2009. Совершенство управления процессами / пер. с англ. А.Л. Раскина / под науч. ред. В.В. Брагина. М.: РИА Стандарты и качество
28. Елиферов Виталий, Владимир Репин. 2009. Бизнес-процессы: Регламентация и управление: учебник. М.: ИНФРА-М
29. Эккерсон Уэйн У. 2007. Панели индикаторов как инструмент управления: ключевые показатели эффективности; мониторинг деятельности; оценка результатов / пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс
30. Хаммер Майкл, Лиза Хершман. 2012. Быстрее, лучше, дешевле. Девять методов реинжиниринга бизнес-процессов. М.: Альпина Паблишер
31. Das, T. K. 2015. Strategic Alliances for SME Development. Information Age Publishing,